ცნობის ფურცელი

№ 1932 კვირა, 22 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1932

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერში ექვსი გვერდია

ამ ნომერთან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-59 №

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნობის ფურცელ“-„მოამბის“ ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ დარჩენილ ხვედრი ფულების შემოტანა.

კვირას, 22 სექტემბერს, მეორმოცე დღეს დრამატურგის

ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლის

გარდაცვალებისას ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც ქვრივი გარდაცვალებულისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. (2—2)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 22 სექტემბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქმნება განსვენებულის

ავქ. ცაგარლის

სულის მოსახსენებლად ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე. (2—2)

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია აცხადებს, რომ კვირას, 22 სექტემბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქმნება ორმოცის პანაშვიდი განსვენებულის

ავქსენტი ცაგარლის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი წირვის შემდეგ იქმნება. (1—1)

1-ლ ოქტომბრიდან **ბედევანიშვილის სამკურნალოსთან არსდება მასსაჟისა და სამკურნალო გიმნასტიკის კურსები.** სასწავლებელი საგნები:

ანატომია, ფიზიოლოგია; ექიმები: ვ. ვ. სობოლევსკი, ე. გ. ფეოდოროვი

მასსაჟის თეორია და ტეხნიკა, პრაქტიკული მეცადინეობა; ექიმები: ა. გ. მაღალაშვილი, გ. ვ. სობოლევსკი

კურსებზე ქალებიცა და კაცებიც მიიღებიან. სწავლის ფასი (ოთხის თვის კურსი) 30 მანეთია. (0—11)

პანსიონი და სასწავლებელი
ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—5)

ტფილისის კერძო სამკურნალო
ბედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

დ. ა. ბედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლ საგანაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № [illegible] (წლ.)

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

ბედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, სამხედრო კრუჟოკის პირდაპირ. (45—9)

კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული მხანაგობა

„შრომა“

ჰყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სერგეებიდან,

მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—8)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—1 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებ 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 5. (წლ.)

სოფელ მეჯვრისხევში
(გორის მაზრა)

კარგი შემოსავლიანი მამული იძლევა იჯარით. მსურველს შეუძლიან იყიდოს კიდეც. ცნობების მიღება შეიძლება „ცნ. ფურცლის“ რედაქციაში. (4—1)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი.

(ტელეფონი № 617)

დღეს, კვირას, 22 სექტემბერს, ხარკოვის დასის მიერ

გამართულ იქნება ორი წარმოდგენა

დილას:

ფაუსტი

ოპერა 4 მოქ. და 5 სურ. მუსიკა გუნოსი

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონები: გაშინსკისა, დობჟანსკისა, ბაუერ და სხვანი; ბატონები: ლენსკი, სუნცოვი, ჩემეზოვი, პეტროვი და სხვანი. **კაპელმეისტერი** მ. მ. ბუკშა. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი.

დასაწყისი დილის 12 საათზე.

საღამოს:

წარმოდგენილ იქმნება

პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ.-ბ.ბ. ზორინისა, არციბაშევისა, კარამზინ-ჟუკოვსკისა, დობრჟანსკისა და სხვ.; ბ.ბ. ბონაჩინი, სუმცოვი, სერგეევი, კაზიმირო, პეტროვი და სხვანი. **კაპელმეისტერი** შტეინბერგი.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: ხვალ, ორშაბათს, 23 სექტემბერს გაიმართება იაფ-ფასიანი წარმოდგენა **„ევგენი ონეგინი“.**

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.**

(ნ. 0—5)

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო იწვევს ამ საზოგადოების წევრებს, სოფლის მეურნეებს, მემამულეებს და ყველა იმათ, ვისაც სასოფლო მეურნეობის საქმეები ეინტერესება, **საზოგადო კრებაზე,** რომელიც უნდა მოხდეს სამშაბათს, 24 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე.

განსახილველი საგნები

1) მიმდინარე საქმეები.

2) განხილვა იმ განსაკუთრებულ კომისიის პროგრამისა. რომელიც სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევად შესდგა

კრებაზე გარეშეთაც შეუძლიანთ დასწრება. (1—1)

ხმოსნების არჩევნები

დღეს იწყება ტფილისის მომავალ საბჭოს ხმოსნების არჩევნები. ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე გვქონია შემთხვევა გველაპარაკნა ამ არჩევნების შესახებ და აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას. გვინდა მხოლოდ ორიოდე მოსაზრება განვუზიაროთ ამომრჩეველთ იმ იმედით, რომ, შეიძლება, ცოტათი მაინც დავეხმაროთ მათ მძიმე მოვალეობის შეგნებულადა და პირნათლად აღსრულების საქმეში.

ჩვენის აზრით, უპირველესად ყოვლისა საჭიროა ამომრჩეველთ ახსოვდეთ ის საზოგადო პირობანი, რომლებშიაც სწარმოებს დღეს ქალაქის თვით-მმართველობის მოღვაწეობა მე-70 წლებში, როდესაც ქალაქებს თვით-მმართველობა მიანიჭეს, ქალაქის უფრო მეტ მცხოვრებთ ჰქონდათ შეძლება მონაწილეობა მიეღოთ საქალაქო საქმეებში და სამოქმედო ასპარეზიც უფრო ფართო იყო. ამიტომ თვით-მმართველობის მოღვაწეობის პირველი ხანა ნაყოფიერიც იყო. საზოგადოებას საქალაქო საქმეთა მართვა-გამგეობა გადაეცა ადმინისტრაციისაგან; უკანასკნელი ისედაც დატვირთული იყო მრავალ საქმით და ქალაქის მეურნეობას ვერ უძღვებოდა; მთავრობამაც იმიტომ ჩამოართვა ქალაქის გამგეობა, რომ ცხადი იყო—ბიუროკრატიულის წესით ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილება ძალიან ძნელია. საზოგადოებას, მართლაც, გადაეცა აწეწილ-დაწეწილი საქმეები, მოუწყობელი ქალაქები, შერყეული მეურნეობა. ბევრი შრომა დასჭირდათ მაშინ ქალაქებს, რათა ცოტათი მაინც მოეწესრიგებინათ საქმე და აღედგინათ ქალაქის მეურნეობა. როგორც ვსთქვით, იმ პირველ ხანაში ეს მოღვაწეობა ნაყოფიერი იყო და ქალაქთა საქმეები გამოკეთდნენ....

შემდეგ დაიბადა განზრახვა ქალაქის თვით-მმართველობის წყობილების შეცვლისა და იგი კიდეც შეიცვალა; მაგრამ რეფორმას სხვა ხასიათი და მიმართულება მიეცა. გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ ქალაქის მართვა-გამგეობის საქმე უნდა ჩაბარდეს მათ, ვინც ქონებრივად უფრო დაინტერესებულნი არიან საქალაქო საშუალებათა მოხმარებაში, ესე იგი, იმ მდიდარ სახლის პატრონთა და ვაჭართ, რომელნიც მეტ გადასახადს იხდიან. ამრიგად შემცირდა ამომრჩეველთა რიცხვიც და მასთანავე შეიზღუდა სამოქმედო ასპარეზიც.

ამ ახალმა დებულებამ უფრო მალე გამოამჟღავნა თავისი ნაკლულევანებანი და და სუსტი მხარეები, ვიდრე 1870 წლისამ. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი „მამები“ ვიწრო შეხედულების მზრუნველნი აღმოჩნდნენ და საქალაქო თვით-მმართველობის მოღვაწეობამ მეტად ერთმხრივი ხასიათი მიიღო. თუ რამ კეთდებოდა ქალაქში, ისევ მდიდარ ნაწილთა სასარგებლოდ, უფრო-კი არაფერი კეთდებოდა, რათა საშუალება ნაკლები დახარჯულიყო. საქალაქო თვით-მმართველობას გაუჩნდა საშიში სენი: მის მმართავთ ინდიფერენტიზმი შემოეპარათ და ქალაქის მდგომარეობა ყველგან დაქვეითდა. ყველაზე უარესი შედეგი ის იყო, რომ მცხოვრებთა უმრავლესობა, რომელსაც საბჭოში წარმომადგენელნი არა ჰყავდა, უყურადღებოდ იქმნა მიტოვებული და მისი ინტერესები დაიჩაგრა.

ასეთს უნუგეშო მდგომარეობას საზოგადოებამაც და მთავრობამაც მიაქციეს ყურადღება და, როგორც ვიცით, დღეს კიდეც შეუდგნენ საქალაქო წყობილების რეფორმის მზადებას. მთავრობა სარგებლობს წარსულის გამოცდილებითა და დასავლეთ ევროპის მაგალითითაც და განზრახვა აქვს გააფართოვოს საარჩევანო უფლებანი, ესე იგი, მცხოვრებთა მეტ წილს მისცეს ნება საქალაქო საქმეების მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებისა. წარსული მაგალითიც და დასავლეთ ევროპის საქალაქო ცხოვრებაც უტყუარად გვიმტკიცებენ, რომ საშუალო და ღარიბი **უმრავლესობა** უკეთესი მზრუნველი ყოფილა ქალაქისა, ვიდრე **პლუტოკრატია.** რაც უფრო რადიკალურად იქნება ეს პრინციპი დაცული მომავალს რეფორმაში, იმდენად უფრო სასარგებლო შედეგი მოჰყვება მას ქალაქის მმართველობისათვის.

მაგრამ, ეს რეფორმა ჯერ მომავალშია ჩვენ-კი ხმოსნები დღეს უნდა ავირჩიოთ. მაშ როგორ უნდა შევასწოროთ დღევანდელ დებულების ხსენებული ნაკლი, რათა, რამდენადაც შესაძლებელია მაინც, თავიდან ავიცილოთ საბჭოს ცალმხრივობა? ამომრჩეველთ ჰმართებთ იმ კანდიდატებს მიემხრონ, რომელნიც უმრავლესობის ინტერესების დამცველად უფრო მიაჩნიათ და რომელნიც უფრო დამოუკიდებელნი არიან ადგილობრივ პლუტოკრატიისაგან.

ამასთანავე ამომრჩეველთ უნდა ახსოვდეთ რომ არა პლუტოკრატთა შორისაც კარგ, არჩევაა საჭირო. აქ მათ უნდა იხელმძღვა-

ნელონ იმ პრინციპით, რომ ხმოსნობის ღირსი ის საზოგადო მოღვაწეა, რომელიც აფასებს თვით-მმართველობას და ესმის მისი მნიშვნელობა. მხოლოდ გულწრფელ მომხრეს თვითმართველობისას შეუძლია დღევანდელ ძნელ პირობებში პირნათლად ასრულოს თავისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე. შეიძლება ესა თუ ის კანდიდატი კარგი მოღვაწე იყოს სხვა ასპარეზზე, ჩინებული დახელოვნებული მოხელე, მაგრამ თვით-მმართველობაში არ გამოდგეს, რადგან ნაკლებად სწამს თვითმოქმედებისა და თვით-მმართველობის სიკარგე. ამგვარს კანდიდატს ვნების მოტანა შეუძლია და საბჭოში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

კერძოდ ჩვენს ქალაქში ამომრჩეველთ კიდევ უნდა მიაქციონ ყურადღება ერთს განსაკუთრებულს გარემოებას. ჩვენ ვამბობთ, როგორც მკითხველიც მიხვდებოდა, სხვა-და-სხვა ერთა წარმომადგენლობის შესახებ. ამ საჭირბოროტო საკითხის გამო უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი და აქ აღარ გავიმეორებთ. განვუზიარებთ ამომრჩეველთ მხოლოდ შემდეგ გარემოებას:

ტფილისის საბჭო ბოლო წლებში შესდგებოდა თითქმის მარტო სომხებისაგან. ასეთმა ცალმხრივ წარმომადგენლობამ ბევრი უსიამოვნება მიაყენა საქალაქო მმართველობას და, თუ საქმეს ღრმად ჩავუფიქრდებით, ჩვენებურ თვით-მმართველობასაც ავნო. ყოველი საქმე, რომელიც ცუდათ დამთავრდა, ყოველი შეცდომა, რომელიც საბჭოს მოუვიდა, ბევრმა ხსენებულ ცალმხრივობით ახსნა და ამასთანავე საბჭოსაც არ ჰქონდა საჭირო სითამამე და თავისუფლება მოქმედებისათვის. ამრიგად თვით-მმართველობას სხვა სიძნელე-დაბრკოლებასთან ერთიც, განგებ შექმნილიც, მიემატა. ჩვენ არ აღვნუსხავთ აქ ხსენებულ ცალმხრივობის სხვა ნაკლულევანებათ, რადგან წინდახედულობა მოითხოვს ამომრჩევლთაგან მხოლოდ ჩვენმიერ აღნიშნული უხერხულობა მიიღონ მხედველობაში და მომავალში მაინც თავიდან ააცილონ ჩვენებურს საბჭოს მეტი საყვედური და ზედმეტი დაბრკოლება.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. 13 სექტემბერს სამხედრო სასამართლომ ქალ. ნანტში მაიორ ლადიურის საქმე გაარჩია. ლადიური ბრესტის მეციხოვნე ჯარში მსახურობდა და სენ-რემივით თავის უფროსების ბრძანება არ შეუსრულებინა. სასამართლოს დარბაზი გარეშე ხალხით იყო თურმე გაჭედილი.

საბრალმდებლო ოქმში ეწერა: ადგილობრივ პრეფექტის თხოვნით გენერალ ლარნაკმა 1 აგვისტოს უბძანა პოლკოვნიკ ბარეს, ერთი ბატალიონი ჯარი სოფ. დუარნეხში წაიყვანე, იქ კონგრეგაციის სკოლა უნდა დაიხუროსო. მარემ კიდევ მაიორ ლადიურს მიანდო ბატალიონის წინამძღოლობა, მაგრამ ლადიურმა შეუთვალა“: ჩემი რელიგიური რწმენა არ მაძლევს ნებას, ბატალიონის უფროსობა ვიკისრო; ამ ბოლოს ისეთი ამბები მოხდა, რომ მე ეხლავე ვარჩიე, სამსახურიდან გადავდგე; ამის თაობაზე ქაღალდი დავწერე კიდეც და დაუყოვნებლივ წარმოვადგენ“. პოლკოვნიკმა გააფრთხილა, სამსახურიდან გასვლა ახლა გვიანღაა, სულ ერთია, პასუხის გებას თავს ვერ დააღწევო; ლადიურმა მაინც ბატალიონის უფროსობა არ იკისრა და თხოვნა წარუდგინა სამსახურიდან გამანთავისუფლეთო.

სასამართლოში ბრალდებულმა გამოაცხადა:

„უფროსის ბრძანება ჯერ ერთი იმიტომ არ შევასრულე, რომ, როგორც ქრისტიანს, უსინიდისობად მიმაჩნდა ჩემი რელიგიური რწმენის წინააღმდეგ მოვქცეულიყავი; მეორე კიდევ იმიტომ, რომ მთავრობის ქცევა ბევრს მცოდნე იურისტებსაც კი უკანონოდ მიაჩნდა. 28 წელიწადი მეცვა სამხედრო მუნდირი და ვერას დროს ვერ მოვიფიქრებდი, თუ როდისმე ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ ჯარებს წამაყვანინებდენ და დამავალებდნენ, სკოლის კარები და ფანჯრები დაამტვრიეთ და მონაზონი ქალები ქუჩაში გამორეკეთო“. ლადიურიმ დასასრულ სთქვა: როგორც სინიდისმა გამიჰრა, მეც ისე მოვიქეციო. თავმჯდომარემ ჰკითხა, რატომ ადრევე არ გახველ სამსახურიდანაო; ლადიურმა უპასუხა: რა ვიცოდი, თუ მაგნაირ საქმეს მომანდობდნენო.

სამხედრო სასამართლომ, ექვსი ხმის უმეტესობით ერთის წინააღმდეგ, ლადიური დამნაშავედ იცნო და სამსახურიდან დათხოვნა მიუსაჯა; მუნდირის ტარებისა და პენსიის მიღების უფლებაც აღარ ექნება. სასამართლოს თავმჯდომარეს გენერალ მოს განაჩენის წაკითხვის დროს სულ ტირილი მოსდიოდა.

ინგლისი. მთავრობამ ნამდვილი ომი გამოუცხადა ირლანდიელებს

ბირეკის სასამართლოში 11 სექტემბერს ირლანდიელ დეპუტატების რედის, ჰავილანდ ბიორკის და ო,დონელისა და სხვა ირლანდიელების საქმე გაარჩიეს. ამათ ჰბრალდებოდათ, ვითომ უკანონო კრებებს ჰმართავდნენ, ხალხს ძალას ატანდნენ, გინდა თუ არა ირლანდიის ლიგის წევრად გახდიო, და თვით მოწინააღმდეგეებს მუქარით აშინებდნენ. ო'დონელი არ მოვიდა სასამართლოში. რედი და ბიორკი სასამართლომ დამნაშავედ იცნო სამივე საქმეში და საკატორგე ციხეში ორის თვის ვადით დატუსაღება გადაუწყვიტა. ორის თვის ვადას რომ შეასრულებენ, ბრალდებულნი მოვალენი არიან 15 გ. სტ. გირაოდ, ორიც თავდებობა, თითო 25 გ. სტ., წარმოადგინონო იმის თავდებად, რომ ერთის წლის განმავლობაში რიგიანად მოიქცევიანო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრალდებულნი კიდევ სამს თვეს დარჩებიან ციხეში. ო'დონელიც მეორე დღეს დაატუსაღეს. იმავე დღეს მეორე დეპუტატი როჩიც დააპატიმრეს.

◆ 12 სექტემბერს ქალ. დუბლინში ირლანდიის ახალი მეფის მოადგილე ლორდ დოდლეი მივიდა. ხალხი ერთნაირად როდი დაჰხვედრია. ზოგი თუ სიხარულით მიჰგებებია, ბევრი კიდევ უსტვენდა და ლანძღვას უთვლიდა.

◆ დუბლინიდან იწერებიან: ირლანდიაში, ქალ. ფრელიაში 8 სექტემბერს ძეგლი დაუდგეს ირლანდიელ გმირებს, რომლებიც 1798 წელს დაიხოცნენ, როცა ირლანდია დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. 5000 კაცი დაესწრო ამ ამბავს. ძეგლის საძირკველში პირველი ქვა ქ-ბნმა ჰონმა ჩააგდო და თოთონაც მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა. ხალხმა დიდის აღტაცებით მოისმინა სიტყვა და ძლიერის ტაშის-ცემითაც დააჯილდოვა ორატორი ქალი.

ოსმალეთი. ევროპის გაზეთები სწერენ, მაკედონიასა, ძველ-სერბიასა და ალბანიაში დიდი არეულობა ჰსუფევსო. ოსმალეთის მთავრობა ძლიერ დააფიქრა ამ ბოლოს დროს მომხდარმა ამბებმა. ბოლგარიამ რომ შიპკასთან დღესასწაული გადაიხადა და ჯარის ალლუმი გაჰმართა, ჯერ მარტო ამით შეშინებულმა ოსმალეთმა 30 პოლკი დააყენა ფეხზე და წვრილ-წვრილ რაზმებად ბოლგარიის საზღვარზე გაამწკრივა. ძველ-სერბიაში ალბანელები აუჯანყდნენ და ებრძვიან ოსმალეთს. ალბანელ სარდალს ბოლეტინაცს (წინააღმდეგობა გაუწია რუსის საკონსულოს დაარსებას ქალ. მიტროვიცაში) მართალია ოსმალოს ჯარი შემოერტყა, მაგრამ მაინც მიტროვიცას დამშვიდებას არა ეშველა-რა. აქაური ჯარიც ვერას გამხდარა ურჩ სარდლებთან; კიდევ თხოულობენ მაშველ ჯარს. მიტროვიცას ახლო მეორე ალბანელი სარდალი მუსტაფა-ფერად აგიჩიცა დგას ათასი ალბანელით. აგიჩი იმუქრება, ქალაქს დავსწვავ, თუ ოსმალეთის მთავრობა ჩემს შვილს არ გაანთავისუფლებსო. აგიჩის ვაჟი-შვილი ყაჩაღობის გულისათვისაა დაჭერილი, თურმე. მაკედონიიდანაც ცუდი ამბები მოდის. აქ კიდევ 300 ბოლგარი გაჩნდა; ვოდენს ახლო ოსმალოს მუდმივ ჯართან შეტაკებაც ჰქონიათ ამ ბოლგარებს. და რით გათავებულა ეს შეტაკება, ჯერ არავინ იცის. ოსმალეთის მთავრობის ოფიციალურ ცნობებს თუ დავიჯერებთ, მეამბოხეთათვის 40 კაცი მოუკლავთ. მაკედონიაში 14 ბატალიონი ჯარი კიდევ შეუკრებიათ მუდმივის ჯარის საშველად.

შეერთებული შტატები. ნიუ-იორკის შტატის რესპუბლიკელთ დასის კონვენტი წარსულ კვირას სარატოგაში შეიკრიბა და გადასწყვიტა, რუზველტი ხელ-მეორედ ავარჩიოთ პრეზიდენტადაო. ტრესტების თაობაზე კონვენტს დაუდგენია:

„ყოველი საქმე, თუ კი ჩვენის შტატის პროგრესსა და ვაჭრობის განვითარებას ხელს შეუწყობს, დიდად სასარგებლოდ მიგვაჩნია; ამავე დროს ჩვენ სასტიკად ვკიცხავთ ყველა სინდიკატსა და მონოპოლიას,—რა სახითაც უნდა იყვნენ დაარსებულნი,—ეგ სულ ერთია,—თუ კი ამ სინდიკატებსა და მონოპოლიას საგნად აქვთ კანონიერი კონკურენციის მოსპობა, წარმოების შეზღუდვა და ცხოვრების გაძვირება. თუ ასეთ უკანონო სინდიკატებს ასაკრძალავად ან შესაზღუდად რაიმე კანონის გამოცემას მოინდომებენ, ჩვენი პარტიაც ხელს შეუწყობს ამნაირ კანონის დამტკიცებას.“

კონვენტმა დაადგინა ეგრეთვე, ტრესტების მომხრე შელდონს ჩვენის შტატის ვიცე-გუბერნატორად ვერ ავირჩევთო. ეს ფაქტი მითაა საინტერესო, რომ შელდონს თვით რესპუბლიკელ დასის წინამძღოლი პლატი ეხმარებოდა. ერთის სიტყვით, სჩანს, ნიუ-იორკის შტატის კონვენტს რუზველტის პოლიტიკა მოუწონებია.

◆ ამას წინად რუზველტს ლაგანს-პორტში სადამოჟნო ტარიფის დაკლების თაობაზე ულაპარაკნია. პრეზიდენტს უთქვამს:

„სადამოჟნო ტარიფების შეცვლა მეტად ძნელი საქმეა. არც ერთს ერს არ შეუძლიან, ტარიფი მალ-მალ და თანაც ძირეულად შესცვალოს. ამისთანა ცვლილება სწორედ დაღუპვას მოასწავებს ერისათვის, მაგრამ იქ, სადაც მრეწველობა სწრაფად მიდის წინა, იქ კი საჭიროა წინად დადგენილი წესები შევცვალოთ და ახალ პირობებს შევუფეროთ. შეერთებულ შტატებში, მაგალითად, მრეწველობის განვითარება ისეთის სწრაფის ნაბიჯით მიდის წინა, რომ რასაც ჩვენში ერთ წელიწადში მივაღწევთ, ევროპაში ათს წელიწადშიაც ვერ მიაღწევენ. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ ჩვენი სატარიფო წესები შევცვალოთ, მაგრამ ფრთხილად კი უნდა მოვიქცეთ. ტარიფი ერთბაშად რომ შეიცვალოს, ისეთი შიშის ზარი დაეცემა ჩვენებურ მრეწველებს, რომ მთელის ჩვენი ქვეყნის აღებ-მიცემობა მთლად შედგება. ეს საქმე მიუდგომლად უნდა გადავწყვიტოთ. ჩემის აზრით, ყველას ის ემჯობინება, სატარიფო კომისია დავნიშნოთ“.

ბურების საქმე. ბურის გენერლების მოწოდება ჰკუაში არ მოჰსვლიათ ინგლისურ იმპერიალისტურ გაზეთებს. გენერლებმა ინგლისის სახელი ტალახში ამოსვარესო, ინგლისელები ძუნწებად და გულქვავ ხალხად გამოიყვანეს, ინგლისის ასეთი სამართლიანი და კეთილშობილური ქცევა ვერ დააფასესო და სხვა. ლიბერალურ გაზეთს „ლიდერს“-ს კი სულ სხვა დაუწერია: რა-კი ინგლისის მთავრობამ უარი უთხრა, ბურებს სრული უფლება ჰქონდათ სხვა ქვეყნებისთვის ეთხოვნათ შემწეობაო.

ბურის გენერლების თხოვნა ყველაზე წინ ერთ ამერიკელს მოქალაქეს ვინმე ფილპს შეუსმენია. ფილპსი ცნობილ „ფოლადის ტრესტის“ მოწილეა და დიდი შეძლებაც აქვს, თურმე. რამწამს გენერლების მოწოდება წაუკითხავს, 100,000 დოლარის (1 დოლარი—2 მან.) ჩეკი დაუწერია და გენერალ ბოტასთვის გაუგზავნია; თანაც წერილი მიუწერია:

„იმედი მაქვს, ბურები ერთგულ ქვეშევრდომობას გაუწევენ ინგლისს, ყოველი დავა დავიწყებას მიეცემა და ინგლისელებსა და ბურებს შუა მტრობას ვეღარავინ ვერ ჩამოაგდებს“.

გენერალ ბოტას დიდი მადლობა გადაუხდია ფილპსისთვის და მიუწერია: „უყოყმანოდ ვაცხადებ, ეს ფული მთლად საქველმოქმედო საქმეს მოჰხმარდება. აქედან ერთი გროშიც არ დაიხარჯება ინგლისის საწინააღმდეგოდ.“

ფელეტონი

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

ოპტიმისტის პესსიმისტური ფიქრები.—პიესა ყვირილის ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან.—სოხუმის ქალაქის თავი.—წვრილი ამბები·

ყვლაფერი შესავალით დაიწყება ხოლმე, ყველაფერი გარდა... ჩვენის ფელეტონისა.

რისთვის? განა ყველაფერი უნდა გამოიკითხოთ, გამოიძიოთ, მკითხველო? მერე არ გაგიგონიათ, რომ ვისაც ბევრის გამოკითხვა უყვარს, მალე დაბერდებაო? აბა, რათ უნდა დაიბეროთ მალე თავი! თუ გაქვთ გემრიელი ლუკმა, დაჯექით თქვენთვის და მადიანად მიირთვით, თანაც მადლობა შეუთვალეთ განგებას ასეთის გულკეთილობისათვის, და თუ მშიერი ხართ, მაშინაც მოსვენებულად იყავით თქვენთვის,—ეგეც განგების გადაწყვეტილებაა, ალბათ ეგეც ბედისწერის დავთარებში სწერია.

დიაღ, რაც გადაწყდება, ის გადაგვხდება... „დაჭრილს ირემს ცრემლები სდის, ნუკრი ცქრიალებს. რა ვუყოთ, რომ ეს ქვეყანა ასე ტრიალებს!“.

**

კარგი ხანია დავპირდი მკითხველებს, ყვირილის ბიბლიოთეკის შესახებ მოგელაპარაკებით მეთქი. მაგრამ ჩემის დაპირების ასრულება ეხლა სხვას უნდა მივანდო. ერთს ყვირილელს დრამატურგს ყვირილის ბიბლიოთეკის „ამბავი“ პიესად გადაუკეთებია და ჩემთვის გამოუგზავნია: ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტთან პროტექცია გამიწიე, ეგებ პრემია მომცენო. თუმცა ეს პიესა წარმოსადგენად სუსტია და ისეც ძუნწი ჩვენი დრამატიული კომიტეტი მისთვის ჯილდოს არ გამოიმეტებს *), მაგრამ წასაკითხავად არა უშავს-რა, და მეც სიამოვნებით ვბეჭდავ აქ.

ბრძოლა ყვირილის ბიბლიოთეკისთვის
ან
ჩვენი საზოგადო მოღვაწენი.

დრამატიული ფარსი პროზად. მოქმედება წარმოებს ყვირილის ბიბლიოთეკის პატარა ოთახში.

მოქმედნი პირნი:

გამგეობა
თავმჯდომარე
პირვ. „ბარიშნა“
მეორე „ბარიშნა“
I კავალერი
II კავალერი.

გამგეობის მომხრ.

მასწავლებელი
ტელეგრაფისტი
ბატონი იქსი } ოპოზიცია.

დიაკვანი, საკუთარის (მუცლის) პარტიის წევრი
ერთი დედაკაცი, ოფიციალურად არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის

პროლოგი.

სტოლზე თავი დაუდევს დიაკვანს და მადიანად ხვრინავს; ერთის მხრით ზის მეორე კავლერი, მეორეს მხრით დედაკაცი.

დიაკვანი სიზარს ხედავს: ვითომც სადღაც კარგს ქორწილშია, სუფრა სავსეა ცხელ-ცხელ საჭმელებით, აგერ მშვენიერი ზუთხი, აი ხიზილალა, აი-მე ცხვრის დუმას შეხედე ეგერ! ღვინო, ღვინო, ღვინო! რა ღვინოა, თქვენი ჭირიმე ჭამე და სვი, ჭამე და სვი! რა ჯობია ამას? იკურთხოს ღვთის დიდება და სახელი...

დიაკვანი ხანდახან ტუჩებს აცმაცურებს, თითქოს ლუკმას მიირთმევსო.

მეორე კავალერი ჭერში მიუბჯენია თვალები და შორს აუტაცნია ოცნებას: როგორ მოატყუილებს სონას მშობლებს, დიდის შეძლების პატრონი ვარო, და დასტყუებს ქალს.

დედაკაცი ტკბილ ფიქრებშია: ნატრობს, რომ მიათხოვოს თავისი ქალიშვილი ტელეგრაფისტს. მისის ქალის საშიში მოქიშვეა პირველი „ბარიშნა“ და ამაღამ საქმე ისე უნდა მოაწყოს, რომ დღე დაუბნელოს მტერს...

(ხალხი ნელ-ნელ იკრიბება).

გამოსვლა პირველი.

თავმჯდომარე — (ზარას აწკარუნებს). მოწყალეო ბატონებო და ქალბატონებო! კრება გაიხსნა. დღეს შევიკრიბენით აქ საზოგადო საქმისათვის, საზოგადო დაწესებულებისათვის, რომელსაც ეწოდების სახელათ ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა! რამდენის სიხარულით და რამდენის აღტაცებით ძგერს ყოველის ქართველის გული ამ ძვირფას სიტყვის გაგონებაზე! ბიბლიოთეკა! იგი არის ჩვენი მხსნელი, ბოძი, რომლის გარშემო ტრიალებს ჩვენი ცხოვრება, რომელიც, როგორც ბრძანებს ბ-ნი ვას. წერეთელი, მისცემს გლეხს მიწას, ქონებას, ყოველგვარს ბედნიერებას. ბიბლიოთეკა! იგი არის ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება, ჩვენი ხატი და სალოცავი! მაშ გვიყვარდეს ეს დიდი საქმე, და თავდადებით ვემსახუროთ საზოგადო ინტერესს, როგორც ეს შეჰფერის ნამდვილ ქართველებს!

მასწავლებელი. ფრაზებია, მშრალი ფრაზები! ჩვენ საქმეს ვთხოულობთ.

თავმჯდომარე. გთხოვთ, სიტყვას ნუ გამაწყვეტინებთ... პირველი საგანი, რომელიც უნდა განიხილოს პატივცემულმა კრებამ, არის არჩევა ბიბლიოთეკარისა. როგორც

---

*) წელს დრამატიული კომიტეტი ფულის შეძენას ჰფიქრობს და არა გაცემას. ასოთ-ამწყობი.

ახალი ამბავი

✦ დღეს საზაფხულო საკრებულოში, როგორც ვუწყით, უნდა მოხდეს **ხმოსანთა არჩევნები** პირველ საარჩევნო ნაწილისაგან. გამგეობამ გადასწყვიტა ამ არჩევნების დროს წესიერების დასაცველად მოიშველიოს გამგეობის 22 უფროსი მოხელე და სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზოგიერთი აგენტი.

✦ 1893—1897 წლებისათვის **ხმოსნების ასარჩევად**, როგორც მაშინდელის ცნობებიდანა სჩანს, შეკრებილა სულ 871 ამომრჩეველი, მაშინ როდესაც იმ დროს სულ 2500 ამომრჩეველი ყოფილა ტფილისში. იმ დროს ყველა ერთ დღეს მოდიოდა ასარჩევად, წელს-კი სამ უბნადაა დაყოფილი და სამ სხვა-და-სხვა დროს იქმნება ხმოსანთა არჩევა. გვგონია, წელს უფრო მეტი უნდა გამოცხადდეს ამომრჩეველი.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ კ. მ. ალიხანოვსა და პ. ა. ოპოჩინინს ქაღალდით განუცხადებიათ გამგეობისათვის, რომ ხმოსნობაზედ **კენჭის ჩამოყრებაზედ უარი გვითქვამსო**.

✦ როგორც ნაამბობი გვქონდა, გუშინწინ შეიკრიბნენ ხმოსნები—იურისტები, მოპატიჟებულნი იურისტები და ქალაქის გამგეობასთან ერთად იმაზე ჰქონდათ ბჭობა, **რამდენად კანონიერად უნდა ჩაითვალოს** ქალაქის მიერ 22 წლის წინად შემოღებული სკოლათა გამგე კომიტეტის არსებობა. დამსწრეთ დაწვრილებით გაიცნეს ამ საქმის შესახები ყოველი მიწერ-მოწერა ხმოსანთა აზრი, სახელოსნო სკოლის წესდება და სხვა. მერე კომისიაში მიპატიჟებულ იურისტებმა ითხოვეს, დრო მოგვეცით ამ საქმის ვითარება დაწვრილებით და დანამდვილებით გავიცნოთო და ჩვენი აზრიც დასაბუთებული წარმოგიდგინოთო. კომისიამ 20 ოქტომბრამდე მისცა ამის ვადა.

✦ ორშაბათს, 23 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის **საბჭოს კრება არ შესდგება**.

✦ სამშაბათს, 24 სექტემბერს, მოხდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების **წევრთა კრება**. სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს პროგრამა სასოფლო სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ.

✦ მესამე დღეა ტფილისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების ბანკში **რევიზიას ახდენენ** ფინანსთა სამინისტროს მოხელენი ბ.ბ.-ნნი მურავიევი და ლებედინსკი.

✦ ტფილისის ვაჭართა საზოგადოებას უთხოვნია საგუბერნიო მთავრობისათვის, ახლად დაარსებულ სავაჭრო სკოლისათვის **ა. ა. მანთაშევის სახელის დარქმევის ნება მოგვეცით**, რადგან ბ-ნ მანთაშევს ხუთი ათასი თუმანი რომ არ შემოეწირა, ეს სკოლა ჯერ ვერ გაიხსნებოდაო. საგუბერნიო მთავრობას ვაჭართა სათხოვარი მთავარ-მართებლისათვის წარუდგენია.

✦ დღეს გუმბრში **საკომერციო სასწავლებელი უნდა აკურთხონ** და სწავლებაც დაიწყონ. მოელიან, რომ ტფილისის საკომერციო სასწავლებლიდან 60 მდე მოსწავლე ამ ახალ სასწავლებელში გადავლენო. რა თქმა უნდა, აქაურებისათვის ეს კარგი შეღავათი იქმნება.

✦ სახაზინო პალატის მოხელეთ თავის უფროსის ბ-ნ ვერეტენნიკოვის გამოთხოვების დროს შარშან დაადგინეს, ერთმანეთ შორის ფული შეაგროვონ და ბ-ნ ვერეტენნიკოვის სახელობაზე ტფილისის საკომერციო სასწავლებელში **სტიპენდია დააწესონო**. შარშან ამისათვის შეჰკრიბეს 16 თუმანი და ორი სტიპენდიაც დაჰნიშნეს ამ სკოლაში, მაგრამ წელს ფული აღარ შეუკრებიათ და სასწავლებლის მთავრობას სტიპენდიაც მოუსპია მოსწავლეებისათვის.

✦ **სავაჭრო სკოლაში** 40 მოსწავლე ჩაწერილა. წელიწადში რვა თუმანი უნდა იხადოს მოსწავლემ. სკოლა საკომერციო სასწავლებლის გვერდითაა, ზავრიევის სახლში.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მასწავლებელი **ვ. პ. ზაზანსკი ქუთაისის გიმნაზიის დირექტორად ინიშნებაო**.

✦ სართიჭალის საბოქაულოში (ტფილისის მაზრა), როგორც ბოქაულის ცნობებიდან სჩანს, წელს დაახლოვებით 598,544 **ფუთი პური მოსულა**. აქედან ქერი 77,420 ფუთი, შვრია 1,994 ფ., სიმინდი 75,046 ფ. და ბრინჯი—500 ფუთი. მცხოვრებთა გამოსაკვებად საჭიროა 439,000 ფუთამდე, მაშასადამე გასასყიდად გადარჩება 160,000 ხოლო ქერი 20,000 ფუთამდე. დღეს ამ საბოქაულოში ფუთი პური ჰფასობს 80 კაპ., ქერი—60 კაპ.

✦ როგორც ტფილისის მაზრის ბოქაულების მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, წელს ტფილისის მაზრაში სულ 1,297,044 **ფუთი პური მოსულა**.

✦ დიდი-ჯიხაიშის ქსენონის კომიტეტი გვთხოვს დავბეჭდოთ: „უღრმეს მადლობას ვუცხადებთ იმათ, რომელთაც კეთილ-ინებეს და ფული შესწირეს ქსენონისათვის საკუთარის შენობის ასაგებად. შემომწირველთა სია: რაჟდენ მიხეილისძე კახიანმა— 15 მან; ივანე მიხეილის ძე კახიანმა—5 მან; პავლე თედორესძე სანაძემ—1 მან; ივანე სიმონისძე ფანცულაიამ—3 მან; ბესარიონ მაქსიმესძე ბექაიამ—3 მან; ილიკო მიხეილისძე დევიძემ—2 მან; ნესტორ დიანოსისძე კახაძემ—2 მან; გლახუა დავითისძე კუჭახიძემ—1 მან; ივანე დიანოსისძე კახაძემ—1 მან; გიგო ოტიასძე კოხრეიძემ—2 მან; მაქსიმე ოტიასძე კოხრეიძემ—2 მან; პავლე დიანოსისძე დგებუაძემ—2 მან; დავით თედორესძე ლეჟავამ—2 მან; იაკობ ბეჟანისძე ჩხიკვაძემ—2 მან; ლაზარე თადეოზისძე სანაძემ—3 მან; გერასიმე მიქელისძე სანაძემ—1 მან; ივანე დავითისძე კაკაბაძემ—2 მან; ექვთიმე მაქსიმესძე ბექაიამ—3 მან;

✦ ავლევის მღვდელი მიხეილ ნასარიძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „გულწრფელ მადლობას ვუცხადებ ახალციხის მცხოვრებს აზნაურის გაბრიელ ხუციშვილის ქვრივს ბარბარეს, რომელმაც ოცდა რვა თუმანი შემოსწირა ცერონისის ეკკლესიისათვის ზარის შესაძენად“.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „თანამედროვე ქალაქი“, პროფ. ემილ ვანდერველდესი, თარგ. ფრანკ. კანდელის მიერ. წიგნი ორ შაური ღირს.

✦ ქალაქის ვაჭართა საკრებულოს დაუდგენია, ვსთხოვოთ გუბერნატორს, ოქტომბრის 6 რიცხვისათვის საზოგადო კრების ნება მოგვცეს, რომ ვაჭართა მამასახლისის ბ-ნ დავიდოვის 25 წლის ნამსახურობას პატივი ვსცეთო. განზრახვა აქვთ საკომერციო-სასწავლებელში ბ-ნ დავიდოვის სახელობაზე სტიპენდია დაარსონ.

✦ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ლაპარაკი იყო აღძრული მიხეილის ქუჩაზე არსებულ არხების გაუქმებაზე. ამას წინად გამგეობამ დაავალა სასანიტარო საბჭოს დაეთვალიერებინა და თავისი მოსაზრება წარმოეთქვა ამ არხების შესახებ. გუშინ სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა გამგეობას და აცნობა სასანიტარო საბჭოს მოსაზრებანი. როგორც მოხსენებიდან სჩანს, მარცხენა ტოტს არხისას, რომელიც მიმდინარეობს სახლების უკან ეზოებში, მცხოვრებნი ბაღების სარწყავად ხმარობენ. ამას გარდა ამ არხში წვიმის წყალი იკრიბება და შემდეგ მტკვარში ჩადის. მარჯვენა ტოტშიაც წვიმის წყალი იკრიბება. სასანიტარო საბჭო იმ აზრისაა, რომ ამ არხების სრულიად გაუქმება უთუოდ შეუძლებელია. საბჭოს მხოლოდ საჭიროდ მიაჩნია: 1) დაიხუროს არხები მთელ სიგრძეზე; 2) გაუკეთდეს არხებს ისეთი ნაპირები, რომ წყალი არ გაჟონდეს და 3) ბაღების სარწყავად წყალი ისე იქმნას გაყვანილი, რომ უსუფთაობა არ დარჩეს და ჰაერი არ გაფუჭდეს. სასანიტარო საბჭოს აზრით, ასევე უნდა მოეწყოს დიდუბის არხიც.

✦ ამ თოთხმეტის წლის წინად გასამართლებული იყო ტფილისის ხაზინადრის თანაშემწე ივანოვი, რომელიც ციმბირს გაჰგზავნეს ხაზინის ფულებიდან ოცი ათასის თუმნის მითვისებისათვის. ივანოვს სასჯელი ზოგი მოუხდია, ზოგიც მანიფესტებით შეუმცირებია, ციმბირში ყოფნის ვადაც გათავებია და ეხლა ტფილისს მოდისო.

✦ ახირებული წესები ჰქონია კავკასის გზის მოიჯარადრე ქალბატონს იბრაჰიმ ბეგის ხანშას. ვინმე ლაზიაშვილი კუჩრად უდგია ხანშას. იქამდე გაჭირვებია საქმე ლაზიაშვილს, რომ სამსახურისათვის თავი უნდა დაენებებინა, დაანება კიდეც, მაგრამ ანგარიშის მიღებას ვერ ეღირსა. მერე რა ანგარიშისა! თვეში ჯამაგირი ჰქონია 4 მანეთი და გროშები. როცა გამოსვლა დააპირა, ლაზიაშვილს ერგებოდა სულ 15 მან. და 33 კაპ. ახლა ნახეთ როგორ უანგარიშნიათ ხანშას საქმეების მწარმოებელთ ლაზიაშვილის ნამსახური: შტრაფი 2 მ. და სამი აბაზი, ქუდის გაფუჭებისათვის—სამი აბაზი, რადაც დაუმტვრევია—2 მან., ესენი სულ გამოურიცხავთ და მისაღებად დარჩენილა სულ 7 მან. 83 კაპ. ნამსახურობისა. დარჩა და დარჩა: მისვლა ათასი და უარის თქმაც იმდენი—ფული კავკასის კანტორიდან უნდა გამოითხოვოთო. კარგი ამბებიც-კი უნდა გამოამჟღავნოს სასამართლომ აქაურის წესებისა, რადგან ლაზიაშვილს სამართალისთვის მიუმართავს.

✦ ახალქალაქის მხარეს წასული იყო აგრონომი ბ-ნი საკაიანი ერთგვარ მწერის გამოსაკვლევად, რადგან ამ მწერს მეტად დიდი ზარალი მოჰქონდა ნათესებისათვის. ბ-ნ საკაიანს მუშაობა დაუსრულებია და ტფილისს დაბრუნებულა.

✦ გუშინ სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას შეუდგეს, ვიდრე კარგი ამინდებია, ქალაქის გადამდებ სენით სამკურნალოების შეკეთებას.

ეროვნული

✦ ტფილისის ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწეს 1901 წელს სასამართლოებში აღუძრავს 266 საქმე, სულ 28,373 მან. 86 კაპეიკისა. აქედან გაუთავებია 7 საქმე.

✦ ახალ ციხის მაზრის სოფელ დგირში ეს ორი წელიწადია ადგილობრივ მღვდლის შუბლაძის მეთაურობით გაუმართნიათ სამრევლო სკოლა, სადაც ამ ჟამად 45 ბავშვი სწავლობს. აქამდე სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭო აღნიშნულ სკოლას სახელმძღვანელოებს უფასოდ უთმობდა. რადგანაც წელს აღარ მიუცია სახელმძღვანელოები, მ. შუბლაძემ მიჰმართა „ქ. შ. წ. გ. საზოგადოების“ გამგეობას და დახმარება სთხოვა სახელმძღვანელოების მიწოდებით.

✦ 19 სექტემბერს ტფილისში მცხოვრებს ალექსანდრე მათოზოვს პოლიციაში განუცხადებია, რომ ამ საღამოს ჩემ შინ არ ყოფნის დროს, ვიღაცამ მომპარა სახლიდან 2,479 მანეთიო.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ 23 სექტემბერს ქუთაისის საბჭოს მორიგ კრებას გასარჩევად 21 საქმე აქვს. ამათ შორის არის: გამგეობის მოხსენება ქუთაისში ქიმიურ ლაბორატორიის დაარსების შესახებ; მოხსენება ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოების თავჯდომარის ქ-ნ სმაგინისა, მესხეთის ქუჩაზე ღულაძისეულ ადგილის დათმობის შესახებ, ღარიბთა საავადმყოფოს ასაგებად; არჩევა იმ კომისიის წევრებისა, რომელსაც უნდა დაევალოს ქალაქის საზღვრების გამოკვლევა და ქუჩებისათვის სახელების დარქმევა; არჩევა საფინანსო და სასწავლებლების გამგე კომისიების წევრებისა.

✦ ქალაქის ბიბლიოთეკა მოქმედებს დილის ათი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე და საღამოობით ხუთიდან რვამდე.

✦ ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიას ხატვის მასწავლებლად, როგორც გადმოგვცეს, ვ. ა. ბალანჩივაძე მიუწვევია.

✦ საბჭოს მიერ ამორჩეულმა სააღმშენებლო კომისიამ სამ გზით დაათვალიერა წყლისაყვანის უმთავრესი აუზი არქიელის გორაზე, უკანასკნელად ამ თვის ორ რიცხვსა და, რაც რამ ნაკლი აღმოაჩინა, ყველაფერი ოქმში შეიტანა და გამგეობას წარუდგინა. როგორც გვითხრეს, ოქმი 23 სექტემბრის სხდომაზე საბჭოს მოხსენდებაო. ოქმზე ხელი უწერია კომისიის წევრთ, ხმოსანთ: ფონ-შულცს, ვ. ქილაძეს, თავ. კ. ლორთქიფანიძეს, ქალაქის ინჟინერს თავ. დ. ჯორჯაძეს და კომისიის თავმჯდომარეს გამგეობის წევრს ბ-ნ გველესიანს.

✦ 18 სექტემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია სოფელ ილემის მცხოვრების (ზემო იმერეთი) აზნაურის ზურაბ გიორგის ძის მაჭავარიანის საქმე. მაჭავარიანს ჰბრალდებოდა საერობო პოლიციის დარაჯის მალჩენკოს სასიკვდილოდ დაჭრა.

შარშან, 23 აპრილს, სოფელს ილემში გიორგობის დღესასწაული იყო და ზურაბ მაჭავარიანს და ამავე სოფლის ერთ მკვიდრს ლაპარაკი მოსვლიათ. ამ ლაპარაკში ჩარეულან პოლიციის

ყოველს თქვენგანს სმენია და უნახავს, ჩვენი გამგეობა საკვირველის გულდადებით ეკიდებოდა თავის საქმეს, მას მოსვენება არ ჰქონდა, ხეირიანი ძილი არ ღირსებია ბიბლიოთეკის გამო, ხშირად ლუკმა არ მიჰკარებია მის პირს, მისი ფიქრი და გონება დამონებული, შებორკილი იყო მხოლოდ ერთი რითიმე, როგორც დათვი ხაფანგში, და ეს ერთი რამ იყო ბიბლიოთეკის კეთილდღეობა. მაგრამ საქართველო რამ დაღუპა, ბატონებო? სპარსეთმა? ოსმალეთმა? ჩინგის ხანმა, ლანგთემურმა, შაჰ-აბასმა ან აღა-მაჰმად ხანმა? არა და არა! საქართველო დაღუპეს იმ უგულო ქართველებმა, რომლებიც ყოველს საქმეში ეჩხირებიან, ყოველივეს გამოძიება და გამოკვლევა უყვართ, რომლებიც კრიტიკოსობენ, ბატონებო, რომლებიც მოუსვენარნი არიან და მუდამ აქეთ-იქით დაძვრებიან. აი დღესაც ჩვენს გამგეობას უთხრიან ძირს...

მასწავლებელი. ეგ ცილის წამებაა!

ბ-ნი იქსი. მე ვთხოვ ბ-ნ თავმჯდომარეს, ჩვენც მოგვცეს ლაპარაკის ნება. ყველამ უწყის, თუ რა საწყალ ყოფაშია ჩავარდნილი ჩვენი ბეჩავი სამკითხველო გამგეობის უყურადღებობის მიზეზით, რომ იგი მალე ჩაეწერება როსტომაშვილის „სამარხ კასსაში“ და განისვენებს წიაღსა შინა აბრამისასა. დღეს ყველამ შეიგნო ბიბლიოთეკის მნიშვნელობა და თუ ბიბლიოთეკას უჭირს, ამის პასუხი უნდა მოვთხოვოთ გამგეობას. მართალია, საზოგადოებამ შეიგნო სამკითხველოს მნიშვნელობა, მაგრამ მას თუ არ მოაგონე ფულის გადახდა, იგი არ გადაიხდის თავის ნებით. ჩვენს გამგეობას-კი არ მოუგონებია, რადგან ამას ჯაფა უნდა და იგი უჯაფურობასაა მიჩვეული, ამიტომ მე ვთხოულობ, საყვედური გამოეცხადოს გამგეობას და ვიქონიოთ იმედი, რომ მომავალში გაასწორებს თავის შეცდომილებას.

დიდკაცი. რა ბევრი ლაპარაკი უნდა, ბატონო: ვინც გამგეობაშია, ყველას გაშავება უნდა. ავირჩიოთ პატივცემული პირები—მე ვასახელებ ტელეგრაფისტს...

მასწავლებელი. გამოეცხადოს საყვედური გამგეობას, რადგან ვერ შეუგნია სახალხო საქმე.

(ისმის ყვირილი: „საყვედური!“ — „მადლობა გამოვუცხადოთ!“—„გადავაყენოთ გამგეობა!“)

თავმჯდომარე (დიდ-ხანს აწკარუნებს ზარას). ბატონებო, დღევანდელს კრებას უფლება არა აქვს გამგეობას შესახებ ილაპარაკოს და მე, როგორც თავმჯდომარე, ვსპობ ამ საგანზე ლაპარაკს.

(ხმაურობაა და ისმის: „ეგ დესპოტიზმია, ეგ თავისუფლების შეზღუდვაა!“)

თავმჯდომარე. დღევანდელი ბიბლიოთეკარი თავს ანებებს სამსახურს და საჭიროა ამოვირჩიოთ ახალი კაცი ბიბლიოთეკარის მძიმე თანამდებობაზე. დასახელებულია სამი კანდიდატი...

I „**ბარიშნა**“. ავირჩიოთ ქ. რ—სა.

(დედაკაცი გაცხარებული წამოხტება ზეზე და უნდა რაღაცა სთქვას, მაგრამ დიაკვანი არ აცლის).

დიაკვანი. ჩემი ძმის წული აირჩიეთ. ძალიან მოსული ბიჭია და ისეთი მარჯვეა, რომ ლომი რომ შეჰხვდეს, იმას გამოგლეჯს ლუკმას პირიდან.

გამგეობა. ბიბლიოთეკარი უნდა იყოს განათლებული ადამიანი, მას უნდა ესმოდეს თავისი დანიშნულება, უნდა ამოურჩიოს მკითხველებს წიგნი. ბიბლიოთეკარზეა დამოკიდებული საზოგადოების გონებრივი მიმართულება.

ტელეგრაფისტი. ბ-ნო თავმჯდომარევ, ნება მომეცით ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. აქ ამბობენ, საჭიროა კარგი ბიბლიოთეკარიო. მეც ვიტყვი: საჭიროა კარგი ბიბლიოთეკარი. მაგრამ... რადგან ჩვენს საზოგადოებაში, ბატონებო, არ არის ძალა. დიალ, მე იმას ვამბობ, ბატონებო, რომ ის საქმე არის საქმე, რომელიც, ე. ი. რომელსაც შეუძლია იწოდებოდეს საქმედ. ბატონებო, ჩვენ ქართველები ვართ და ყვირილა არის ის ქალაქი, დიალ ქალაქია, ბატონებო, რადგან ქალაქის სახე მიიღო მან. ამიტომ, ჩემს აზრით, ბატონებო, საჭიროა კარგი ბიბლიოთეკარი, რომელიც უნდა ანათებდეს, როგორც სანთელი... ე. ი. ლამპარი, ბატონებო. ეს არის ჩემი აზრი. ბოდიშს ვიხდი პატივცემულ საზოგადოების წინაშე, რომ ამდენი ვილაპარაკე.

(თავს დაუკრავს საზოგადოებას და დაჯდება).

დიდკაცი. ა, მართალი და ზრდილობიანი სიტყვა!

დიაკვანი. ბატონებო, ათი საათია, ვახშმობის დროა. ბევრი ვილაპარაკეთ, გვეყოფა; სხვა შემდეგის კრებისათვის გადავდვათ.

ფეიდანი. როგორ შეიძლება! ბიბლიოთეკარი უნდა ავირჩიოთ.

დარაჯები. საქმის გარჩევის დროს მოწმეებმა დაამტკიცეს, რომ დარაჯები ძალზე მთვრალები ყოფილან. მაჭავარიანი ყოველსავე მათს მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, მაგრამ მაინც მოინდომეს იმის გაბაწვრა, მალხენკომ-კი ხმალიც მოუქნია და მაჭავარიანი მკლავში დასჭრა; მეორე მოქნევით წელში დასჭრა და მხოლოდ ამის შემდეგ მაჭავარიანმა მალხენკო პატარა დანით გულში დასჭრა. ექიმის შემოწმებით ეს ჭრილობა მძიმე ჭრილობათა ჩარიცხული და ამიტომაც მაჭავარიანს მალხენკოს სასიკვდილოდ დაჭრა ედებოდა ბრალად სამსახურის ასრულების დროს, თუმცა მალხენკო ამ ჟამად სრულებით კარგად არის და, ექსპერტის შემოწმებით, ჭრილობას მისთვის არავითარი ზიანი არ მიუცია და თავისს სამსახურსაც განაგრძობს

სასამართლომ მხოლოდ რვა თვით ციხეში ჩაჯდომა მიუსაჯა მაჭავარიანს.

რუსეთის ქრონიკა

◆ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს ხელი შეუწყოს სახალხო კითხვების განვითარებას. ჰფიქრობს, ამ ზამთარს განსაკუთრებული ლექტორები იყოლიოს, რომელნიც მიყრუებულსა და მივარდნილს სოფლებში კითხვებს გამართავენ. სამინისტროს სახალხო სიფხიზლის საზოგადოებათა თავმჯდომარეებისათვის მიუმართავს და უთხოვნია, ყოველგვარი დახმარება გაუწიონ დასახელებულ ლექტორებს.

◆ ბეჭდვითის საქმის მოღვაწეთა საზოგადოებამ კარგა ხანია გადასწყვიტა გამართოს თავშესაფარი მოხუცთა და შეუძლოთათვის. ეხლა საზოგადოებამ განსაკუთრებული კომისია აარჩია, რომელსაც მიანდო გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. კომისიის თავმჯდომარედ სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გრაფი ტოლსტოია.

◆ ბოლოს დროს ერობებმა და კერძო საზოგადოებებმა რამდენჯერმე აღძრეს შუამდგომლობა საერო განათლების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ გაიმართოს მოზრდილთათვის გაკვეთილები როგორც საშუალო სასწავლებლებთან, ისე ცალკე. ამ გაკვეთილებს ანუ კურსებს აზრად საზოგადო და საპროფესიონალო განათლების გავრცელება ექნება. შუამდგომლობათა დასაკმაყოფილებლად სამინისტროს შეუმუშავებია განსაკუთრებული წესები ამგვარ გაკვეთილების გამართვისა. ახალის წესებით გაკვეთილები შეიძლება გაიმართოს საერო განათლების სამინისტროს პირველ დაწყებით სკოლებთან, საქალაქო და სამრეწველო სასწავლებელთან. რაც შეეხება სასწავლებლის გარეშე გაკვეთილების გამართვას, ამ საქმეს სამინისტრო ახლო მომავალში განიხილავს თურმე.

პრესსა

„კურიერ“-ის სიტყვით, ამ ბოლოს გლეხებმაც მოუხშირეს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა დაარსებას.

არის გლეხთა საზოგადოებანი, დაარსებული სხვათა გავლენით; არის რამდენიმე საზოგადოება, რომლის წევრთა შორის გარეშე უფრო მეტია, ვიდრე გლეხი, მაგრამ მოიპოვებიან ისეთი საზოგადოებანიც, რომელნიც გლეხებმა დააარსეს და რომელთა წევრებადაც მხოლოდ გლეხნი არიან. ასეთ საზოგადოებათა რიცხვი წლითი-წლობით მატულობს. ამბობენ, ამ გვარი საზოგადოება ნაყოფს ვერ გამოიღებს, რადგანაც გლეხნი „იმდენად გაუნათლებელნი და განუვითარებელნი არიან, რომ არ ესმით კავშირისა და ერთობის მნიშვნელობაო“. უმრავლესობა გლეხებისა მართლაც განუვითარებელ-გაუნათლებელია, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ თვით მივარდნილ კუთხეებში მოიპოვება თითო-ოროლა შესმენილი და მცოდნე გლეხი. ამათ მეცადინეობითა და შრომით ყოველთვის შეიძლება საქმის გაკეთება და გლეხთა ამა თუ იმ კავშირის მოგვარება.

ავტორის აზრით, საჭიროა ამ შესმენილ და გაგებულ გლეხებს დახმარება და შემწეობა აღმოუჩინოს სოფლის ინტელიგენციამ.

ბათუმის ქალაქის საბჭო

16 სექტემბერს ქალაქის საბჭოს პირველი კრება მოხდა ამ შემოდგომაზე. კრება მოხდა ქალაქის ახალს სახლში, რომელიც წინ დღეს აკურთხეს. ეს უზარმაზარი შენობა ქალაქს დაუჯდა თითქმის ოთხმოცი ათას მანეთად და კარგი რამაც არის. თუმცა უკეთესიც იქმნებოდა, მოიჯარადრეს რომ მეტი გული დაედო. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ გამგეობამ მოიჯარადრე მოიშორა და თვით განაგრძო სახლის შენება. ლამაზია საბჭოს დარბაზი—განიერი, გრძელი და სინათლიანი. დიდი ნაკლი ამ დარბაზისა ის არის, რომ ხმა იკარგება და ერთ თავში მოლაპარაკის სიტყვები დარბაზის ბოლოში ძლივს ისმის. მეტად კარგია დიდრონი და სინათლიანი ოთახები. ქვედა სართულში მოთავსებულია ქალაქის ლომბარდი, ბიბლიოთეკა და სხვ.

რადგან წინა დღეს კურთხევისათვის ასავალი კიბე და თვით დარბაზი მორთული იყო მცენარეულობით, იგივე მორთულობა დარჩა პირველ სხდომისათვისაც, რაც განსაკუთრებულ სახეს აძლევდა ამ სხდომას. გარეშე ხალხიც ბლომად დაესწრო სხდომას და გამგეობაც, ეტყობოდა, შემზადებული იყო.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი თავ. ი. ანდრონიკაშვილი, რომელმაც მორიგ საქმეთა გარჩევამდის მოახსენა საბჭოს ქუთაისის გუბერნატორისაგან მიღებული დეპეშა პასუხად იმ დეპეშისა, რომელიც გაეგზავნა ქალაქის სახლის კურთხევის დღეს. შემდეგ თავმჯდომარემ აცნობა საბჭოს დიდ მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძესთან აღძრულ პირად შუამდგომლობის ამბავი. ეს შუამდგომლობა შეეხებოდა საპორტო კომიტეტის წინაშე აღძრულ თხოვნას შემოტანილ საქონლის ბაჟიდან ქალაქის სასარგებლოდ ფულის გადასახადის შესახებ. ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძეა; რომლის ბათუმში ყოფნითაც 5 აგვისტოს უსარგებლნია ქალაქის მოურავს და მოუხსენებია შუამდგომლობა. დიდ მთავარს ყურადღებით მოუსმენია თავ. ა. ანდრონიკაშვილის მოხსენება და უთქვამს, თანახმა ვარ, ქალაქს მიეცეს ფული ადგილების დასაშრობად და წყლისაყვანის გასამართავადაო. ამასთანავე დიდ მთავარს ნება დაურთავს თავ. ი. ანდრონიკაშვილისათვის, რომ მან წარუდგინოს ცალკე წერილი იმის შესახებ, რასაც შუამდგომლობს ქალაქი საპორტო კომიტეტის წინაშე და რაც იმის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. როგორც სჩანს, ქალაქს ჯერ კიდევ იმედი უნდა ჰქონდეს ფულის მიღებისა

ამის შემდეგ საბჭო შეუდგა მორიგ საქმეთა განხილვას. პირველი საქმე შეეხებოდა ქალაქის თეატრის აშენებას ამაზე ლაპარაკი ხმ. პალმმა აღძრა შარშან და განაცხადა ბათუმის რუსეთთან შემოერთებიდან 25 წლის შესრულება აღნიშნულ იქმნას, სხვათა შორის, იმით, რომ ქალაქმა საძირკველი ჩაუყაროს ქალაქის თეატრსაო. ქალაქის გამგეობა მიემხრო ამ წინადადებას და ამა წლის აპრილს საბჭომაც მიიღო იგი. როგორც გამოანგარიშებულია, თეატრი დაჯდება 115 ათას მანეთ დ. 20 ათასს მანეთს ქალაქი აძლევდა იმ ფულიდან, რომელიც რჩებოდა საობლიგაციო სესხს, ხოლო ასი ათასი მანეთი ქალაქს უნდა ეშოვნა აგებული შენობისა და მიწის დაგირავებით. საბჭომ გამგეობას დაავალა იმ ოცი ათას მანეთიდან ათასი მანეთი დაეხარჯა თეატრის გეგმის და საბჭოს ხარჯის უფრო დაწვრილებით გამოსაკვლევად. მაგრამ გუბერნატორმა ნება არ დართო 1000 მანეთის დახარჯვისა საობლიგაციო სესხიდან, თუმცა იგი თეატრის აგების წინააღმდეგი არ იყო.

გამგეობამ წინადადება შეიტანა, ათასი მანეთი დაიხარჯოს იმ ზედ-მეტი შემოსავლიდან, რომელსაც ქალაქი მოელის უძრავ მამულების გარდასახადისაგან. ამასთანავე გამგეობამ გამოარკვია შემდეგი. 1) საჭიროა კონკურსის გამოცხადება და სამის პრემიის დანიშვნა (1000, 500, და 300 მან.) ამას გარდა გამგეობას უნდა მიეცეს კიდევ 200 მანეთი იმ გეგმისათვის, რომელიც დაუჯილდოვებელი დარჩება, მაგრამ გამოსადეგი აღმოჩნდება საქმისათვის; 2) საჭიროა 500 მანეთის გადადება საქმის მცოდნე პირთა მოსაწვევად და კონკურსის განცხადებებისათვის და 3) წინად ნაანგარიშევი 50 მანეთი ნაშენ კუბზე უნდა შეიცვალოს 70 მანეთად; შენობის ფასი მატულობს და გადაამეტებს ნაანგარიშევს 32500 მანეთით; ამიტომ საჭირო იქნება შენობის შემცირება. ამის გამო გამგეობა საბჭოს 300 მანათსა სთხოვს მცოდნე პირის მოსაწვევად, რომელმაც დაწვრილებით უნდა გამოიანგარიშოს შენობის ფასიც, ადგილთა რიცხვიც თეატრში და კონკურსის პირობების გეგმაც შეადგინოს. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და მისცა გამგეობას 300 მანეთის დახარჯვის ნება.

ყველამ იცის, რა გასაჭირში ჩავარდა ბათუმი მას შემდეგ, რაც მოუსპეს სანავსადგურო შემოსავლიდან ფუთზედ $^1/_5$ კაპეიკი. ერთს უბედურებას მეორეც დაერთო. საქმე ისაა, რომ დღემდე ქალაქს ხაზინიდან ეძლეოდა პოლიციის შესანახად შემწეობა. წრეულს უთავდება ვადა ამ შემწეობას და ქალაქი თვით უნდა გაუძლვეს ხარჯს. ეს ხარჯი კარგა დიდია,—37,000 მანეთი, ე. ი. ერთი მეექვსედი ქალაქის მთელი შემოსავლისა. ქალაქს დღეს 260—270 ათასი მანეთი აქვს შემოსავალი. სავალდებულო ხარჯი-კი: შენახვა მთავრობის დაწესებულებათა (1166 მან.), სამხედრო საჭიროებისათვის (3595 მ.), პოლიცია (37,000 მან.), ცეცხლის მქრობელი ნაწილი, სასწავლებლები (36.320 მ.), გადასახადები, ვალების გაბათილება (40,070)—სულ 125,970 მან ე. ი. ნახევარი შემოსავლისა; ასე რომ ქალაქს თითქმის არა რჩება—რა დანარჩენ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამასთან არც ერთ ქალაქს, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, იმდენი ხარჯი არა აქვს პოლიციის შესანახად, რამდენიც ბათუმს (კავკავი, სადაც 50 ათასი მცხოვრებია, იხდის 31,968 მან.; ტფილისი, მცხოვრები 195,167-ია, იხდის—103,275 მან.) ამის გამო გამგეობამ ურჩია საბჭოს მიჰმართოს მთავრობას და სთხოვოს, რომ ქალაქს მომავალშიაც არ მოუსპოს შემწეობა პოლიციის შესანახად. საბჭომ მიიღო ეს წინადადება.

ბათუმს ყოველთვის თავი მოსწონდა და მოსწონს ზღვის პირად გაშლილ ბულვარით. იგი ყოველთვის სცდილობდა ამ ბულვარის გაუმჯობესებას. ახლაც სცდილობს კურზალი ააშენოს იქ. ეს კურზალი უნდა გაშენდეს აწ არსებულ ბუფეტის მაგივრად. გაიმართება ყოველმხრით გახსნილი როტონდა, აქვე იქნება სამკითხველო ოთახი ზღვისკენ ვერანდით, ბუფეტი, განყოფილება ორკესტრისათვის და საკონცერტო დარბაზი სცენითურთ. ქვეშ იქნება სამზარეულო. როგორც ამ საქმის აღმძვრელთ (პალმმა და ივანოვმა) გამოიანგარიშეს, კურზალი დაჯდება 35—50 ათას მანეთად. შემოსავალი იქნება: იჯარა—3,000 მანეთი და საკონცერტო დარბაზის შემოსავალი—500 მან. სულ 3500 მან. ეს შემოსავალი დაჰფარავს სარგებელს და თავნის ნაწილსაც. საჭიროდ იცვნეს გეგმის მოსაპოებლად კონკურსის გამოცხადება: ორი პრემია იქნება, 1—700 მანეთიანი, და 2—300 მან. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და გამგეობას მისცა 300 მანეთის დახარჯვის ნება, რომ გამგეობამ მიიწვიოს მცოდნე კაცი და დაწვრილებით გამოაანგარიშებინოს ხარჯი.

ქალთა გიმნაზიის შენობის საქმე ჯერაც ვერ გადასწყდა საბოლოოდ. გადაწყვეტილი იყო გიმნაზიის ეზოს გასაფართოვებლად სუკოიანის ადგილის შესყიდვა. ამ ხანად საქმე ვერ ბოლოვდება, რადგანაც ერთი ძმა სუკოიანისა ბათუმში არ იმყოფება. მაგრამ გიმნაზიის სამზრუნველომ საჭიროდ მაინცა სცნო, რომ შენობის აგებას შესდგომოდა. საჯარო ვაჭრობით შენობის აგება დაინარჩუნა 63 ათას მანეთად მოიჯარადრემ შაპირომ, მაგრამ რამდენისამე დღის შემდეგ გამოჩნდა ვიღაც სხვა, რომელმაც შეაჩერებინა ამ ვაჭრობის დამტკიცება და დღეს ეს საჩქარო საქმე ამ კაცის წყალობითა და ბ-ნ ივანოვისაგან მიერ შეტანილ ცალკე მოსაზრების გამო ჭიანურდება.

შარშანდელმა საბიუჯეტო კომისიამ წინადადება შეიტანა საბჭოში, რომ ქალაქის გამგეობაში დაარსებულიყო სასტატისტიკო სტოლი და ამ საგნისათვის ხარჯთ-აღრიც-

---

თავმჯდომარე. ჯერ ჯამაგირი დავუნიშნოთ ბიბლიოთეკარს და მერე ავარჩიოთ. დაენიშნოს ბიბლიოთეკარს 15 მანეთი.

მასწავლებელი. ბიბლიოთეკას თვეში სულ 14 მანეთი აქვს შემოსავალი და თქვენ გინდათ ბიბლიოთეკარს 15 მან. ჯამაგირი დაუნიშნოთ?

I **„ბარიშნა“.** მიენდოს გამგეობას ბიბლიოთეკარის არჩევა.

მასწავლებელი. არავითარს შემთხვევაში! ბიბლიოთეკარის არჩევა საზოგადო კრების უფლებაა და ვერავინ ვერ წაართმევს მას ამ წმინდა უფლებას!

ბატონი იქსი. თუ ილუპება ბიბლიოთეკა, სჯობს დაიხუროს. „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!“

თავმჯდომარე. გაიგონეთ? გაიგონეთ, ბატონებო, საშინელი სიტყვები! ბიბლიოთეკა დაიღუპოსო! აი, სად მარხია ძაღლი! აი, სად არის მახე! აი რა უნდა თურმე ოპოზიციას. რა ვუწოდოთ მათ საქციელს, თუ ღალატი და დაღუპვა!...

—

რადგან ჩვენმა დრამატურგმა ძალიან გააგრძელა თავისი პიესა, და ჩვენი გაზეთი ფორმატის გადიდებამდის ვერ დაიტევს ასეთს გრძელს პიესებს, ამიტომ იძულებული ვარ აქ შევწყვიტო. ბოდიშს ვიხდი მომქმედ პირების წინაშე, რომ ყველაფერი მათი ნალაპარაკევი ვერ მოვიყვანე.

პიესა თავდება იმით, რომ ბიბლიოთეკარის კანდიდატებს კენჭს უყრიან, მაგრამ რადგან კენჭის ყრაში გამგეობა არ მიიღებს მონაწილეობას, ამიტომ არჩევნები გაუქმდება. ამის შემდეგ კრება დაიშლება.

პიესას ბოლოში ეპილოგი აქვს, რომელსაც აქვე მოვიყვანთ სავსებით.

ეპილოგი

დუქნის ბალკონი მდინარის პირად. ერთს კუთხეში სხედან გამგეობის პარტიის წევრნი, მეორეში—ოპოზიცია. გაცხარებული სმაჭამაა. ყველაზედ ბევრს დიაკვანი მიირთმევს. შემდეგ სიმღერა—„მრავალ ჟამიერ“ და „გაუმარჯოს საქართველოს“. ბოლოს ლეკური და სხვა-და-სხვა.

**

სხვათა შორის, სოხუმშიც არსებობს, საქალაქო თვითმმართველობა *). ამ თვითმმართველობას ჰყავს თავისი ქალაქის თავი, ჰყავს თავისი ხმოსნები. ჩვენ გვეგონა (და სოხუმის ხმოსნებსაც ჰგონებიათ), რომ ქალაქის თავი აღმასრულებელი პირია მხოლოთ და უფროსი, გამგებელი არის საბჭო, ე. ი. ხმოსნები. მაგრამ ასე არ ჰგონებია თურმე თვითონ დღევანდელს სოხუმელ ქალაქის თავს. მე რა-კი თავი ვარო, ამბობს: თავიც უნდა ვიყოვო.

ასე ფიქრობს სოხუმელი ქალაქის თავი და ასეც იქცევა. აი, მაგალითად, ერთი ვიღაც ქალი დაუჭერია კასსირათ, გადაუცია მისთვის ფულები და კლიტე და უთქვამს: შენ იცი და მეო. მერე ამდგარა და „ოტპუსკში“ წაბრძანებულა (აბა რის ქალაქის თავია, თუ „ოტპუსკში“ არ წავიდა! *) და თან კასსირისათვის დაუბარებია: არც ჩემს მოადგილეს და არც სხვა ხმოსნებს ხელი არ ახლებინოო ფულებისათვისო!

ქალაქის თავი რამდენსამე თვეს იყო „ოტპუსკში“. გაუჭირდათ უფულობის გამო სოხუმელს ხმოსნებს. ბევრი იფიქრეს და ბოლოს... გაალეს კასსა, მაგრამ თქვენს მტერს იმისთანა, რაც იმათ ნახეს: კასსაში ფულების მაგიერ რაღაცა „რასპისკეში“ ეყარა, ვითომ მოსამსახურეებს წინდაწინ მიეღოთ ჯამაგირი(!) (ივ. № 184)...

ჯერ არ ვიცით, როგორი „ვიგოვორი“ მიიღეს სოხუმელმა ხმოსნებმა ქალაქის თავისაგან ასეთის თვითნებობისათვის და За превышеніе влестъ.

**

ბათუმის თვითმმართველობას ბუხჰალტერად ა. დეკანოზიშვილი აურჩევია, მაგრამ ბ. პალმს „პროტესტი“ განუცხადებია ასეთის არჩევნის წინააღმდეგ და ამიტომ ბ. დეკანოზიშვილის მაგიერ, შეიძლება, სხვა კაცი აირჩიონო.

—

„ივერიის“ რედაქცია აცხადებს: ამ ბოლოს დროს ჩვენს გაზეთში რომ ერთმანეთის მოწინააღმდეგე წერილები იბეჭდებოდა, ეს იმის ბრალია, რომ რედაქტორი არ იყო სახლში, და ვინც მის მაგიერ დატოვებული იყო რედაქციაში, მას ბ. სანოს ფელეტონის კითხვის დროს ჩასძინებოდა.

ხიცუვა.

---

*) „თვით-მმართველობა“, ბ-ნო სიტყვა!

ასოთ-ამწყობი.

**) განა ნ. ნიკოლაძე ამიტომ დადის „ოტპუსკებში.“

ასოთ-ამწყობი.

ხვაში შეტანილიყო 1200 მანეთი. როგორც ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, გამგეობა შეჰკითხებია დიდ ქალაქებს, აქვთ თუ არა სასტატისტიკო სტოლები. მიღებულ პასუხებიდან აღმოჩენილა, რომ ამგვარი რამ არსად თითქმის არა ჰქონიათ. ამასთანავე თვით საიუჯეტო კომისიას ისე ბუნდად აქვს გამოხატული ამ „სტოლის“ მოქმედების საგანი, რომ მოურავმა საბჭოს ურჩია, 1200 მანეთი მოხმარებოდა სხვა საჭირო საგანს, ხოლო გამორკვევა „სტოლის“ წარმოებამოქმედებისა მინდობოდა ყოფილ საბიუჯეტო კომისიის წევრთაგან შემდგარ კომისიას.

როდესაც ქალაქმა დააპირა იჯარით გაცემა მდინარე ანგისას მახლობლად მდებარე მიწებისა, მსურველნი აღმოჩნდნენ თურმე, მაგრამ საიჯარო პირობები დაიწუნეს. მაგალითად, იჯარის ვადა—რვა წელიწადი—მოკლე ვადად უცვნიათ. სამძიმოდ უცვნიათ აგრეთვე ის პირობაც, რომ უსათუოდ ქვის შენობები აგებულიყო იჯარით აღებულ მიწებზე. საბჭომ შესცვალა ახლა თავისი დადგენილება: იჯარის ვადა თორმეტ წლამდის აიყვანა და ნებასაც აძლევს მოიჯარადრეს რისგანაც უნდა, იმისაგან ააგოს შენობა; საიჯარო ფასი-კი ისევ წინანდელი დასტოვა.

შემდეგ საბჭომ არ შეიწყნარა წინადადება ვილაც დიუნანისა, რომელიც თხოულობდა ნება მიეცათ ბულვარის წინ ზღვის ნაპირას ხალხის სასეირნოდ გაემართა დეკოვილის სისტემის რკინის გზა.

საბჭომ ამ საღამოს რამდენიმე სხვა წვრილმანი საქმეც განიხილა.

პატარა დღიური

დადგა შემოდგომა და „ჩვენ კურთხეულ დედაქალაქის“ ქუჩებსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო: აირია ხალხი და გახშირდა ეტლების ბრახა-ბრუხი. აგარაკიდან ჩამოსულმა, ჩრდილომდელოზე შესვენებულმა მანდილოსნებმა ჩვეულებრივი იერიში მიიტანეს ფარჩა-აბრეშუმით ცნობილ მაღაზიებზედ. ამ მაღაზიების კარებთან ფეხს ვერ აუქცევთ კობწიად გამოწყობილ მანდილოსანთა გუნდებს: ზოგი შედის, ზოგი კიდევ გამოდის.

საწყალი ქმრები და მამები! აი სწორედ ეს შემოდგომაა იმათის ჭაპან-წყვეტისა და გააგავლახის ხანა. რომელი ერთი იტიროს და იცეს თავში ზაფხულის პაპანაქება-სიცხისაგან არაქათ გამოლეულმა და ქუჩების მტვერ-ბუქისაგან ჭლექში ჩავარდნილმა ოჯახის პატრონმა: შვილების სასწავლებელში მიუღებლობას გაუძლოს, სადგომის სიძვირეს, სანოვაგის უვარგისობას, თუ აგარაკიდან ახლად-ჩამოსულ ცოლის განუწყვეტელ წუწუნ-ყვედრებას?

კერძოდ მე შემიმჩნევია, რომ ცოლ-შვილის პატრონი არასოდეს ისე დაძმარებული, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი და უიმედობით ილაჯ-გაწყვეტილი არ დადის, როგორც შემოდგომაზედ. დარწმუნებული ვარ, „შემოდგომის სტატისტიკა“ რომ არსებობდეს, იმ ბედნიერთაგან, რომელნიც ნება-ყოფლობით საიქიოსაკენ გზას იკვლევენ, უმრავლესობას ცოლ-შვილისა და ოჯახის პატრონნი შეადგენდნენ. ასეთის ნარეკლეთაა მოფენილი ქრმისა და მამის შემოდგომის გზა...

წლევანდელი შემოდგომა ნაკლებად მწარე და ნარ-ეკლით მოფენილი არც ჩვენის ქალაქის ლორდ-მერის შესტაკოვისათვის გამოდგა. ცუდი დღე დააყენეს საბჭოს პირველსავე კრებაზედ ამ, ცოტა არ იყოს, გაამაყებულ და გალაღებულ „მამათა“ მამას. იჯდა ჩვენი ლორდ-მერი და გაოცებული შეჰყურებდა ამ კრებაზედ უმადურ შვილებს. ეგონა, კალმებსა და ქაღალდზედ გაწეულ ეკონომიისთვის მადლობას მივიღებო, და, აი, მადლობის ნაცვლად რა მიუძღვნეს! ორჯელ-სამჯელ ბ-ნმა შესტაკოვმა ისიც-კი გაიფიქრა, როგორ მიბედავენ ამისთანა რამეებსაო...

ეჭვი არ არის, ჩვენი მამანი უფრო ბევრ რამეს გაუბედავდნენ, რომ ამ ჟამად საარჩევნო ციებ-ცხელებაში არ იყვნენ გართულნი. ვისა სცალიან შესტაკოვისათვის,—გაიძახიან,—არჩევნები კარზედ გვადგია და უნდა ვეცადოთ „მშრომელი, ღირსეული და საქმის კაცნი“ ავირჩიოთო. ამისათვის ამ ზაფხულს დიდ-ძალი ქაღალდი დახარჯეს, უთვალავი მელანი დაღვარეს, ბევრისაგან ბევრი კრება მოახდინეს და კანდიდატთა ათასი თუ ორი ათასი „საბოლოოდ შემუშავებული“ სია შეადგინეს. თქვენი არ ვიცი, მკითხველო და მე-კი, ცოდვილს, არაფერი მჯერა ამ სიებისა... მაინც ვნახოთ, „ალილო და ხვალაო“, ნათქვამია, თუმცა ხვალისათვის გადადება აღარ გვიხდება და დღესვე უნდა შეუდგეთ „ალილოს“: პირველი საარჩევნო კრება დღეს, 22 სექტემბერს, არის, მივიდეთ და ჩვენის ბედნიერის თვალით ვიხილოთ ყოველივე.

Spectator.

თეატრი

ოპერა. 20 სექტემბერს დასდგეს სამ მოქმედებიანი ჩაიკოვსკის ოპერა „პიკოვაია დამა“. თ. ა. წერეთელი სცდილობს ტფილისელებს დასაწყისშივე დაანახვოს, რომ მის მიერ მოყვანილი საოპერო დასი მეტი ნდობის ღირსია. სდგამს ძნელად მოსაწყობ (ვოკალურის მხრივ უმთავრესად) ოპერებს და დღემდე პირნათლად გამოდის. „ტკბილი“ ტენორი ბონაჩიჩი ასრულებდა ძნელს პარტიას გერმანისას. ბ. ბონაჩიჩს მეტი მიმიკა რომ ჰქონოდა და თამაშობისათვისაც მეტი ყურადღება მიეპყრო, ცხადია, ერთი ორად მეტ „ვაშას“ დაიმსახურებდა. ლიზას პარტია იმღერა ქ. ზორინისამ. ცოტა მოუხეშავი ხმა აქვს მაღალ ნოტებში, ამისათვის მშვენიერი არიოზო ეკატერინეს არხთან (მე-6 სცენა) ვერ იყო კარგი. პასტორალი მე-4 სცენაში საერთოდ კარგად შეასრულეს. საზოგადოებამ გაამეორებინა დუეტი პრილეპასი (ქ. არ[illegible]იბაშევისა) და მილოვზოროსი (ქ. დობრჟანსკისა). საზოგადოთ ოპერამ კარგად ჩაიარა; ხოროც უფრო მწყობრად მღეროდა, ორკესტრი ხომ საუკეთესოა.

წერილი თელავიდან

განვლილი ზაფხული

დადგა შემოდგომა და, როგორც სააგარაკო ადგილი, თელავი ჩვეულებრივ ძილს მიეცა. აღარ ახმაურებენ საღამო-საღამოთი სასეირნო ბაღს მოსწავლე ახალ გაზრდობა და მოაგარაკენი. ხმაურობის ნაცვლად სამარისებური სიჩუმეა გამეფებული. აღარ ისმის საკრებულო დარბაზიდან ზურნა-დუდუკის ხმა, აღარ იმართება საცეკვაო და გასართობი საღამოები, შესწყდა წარმოდგენების მართვა, შესწყდა ყველა ეს მეორე ზაფხულამდე, ვიდრე ხელ-ახლა არ დაბრუნდებიან თელავში სხვა და სხვა მხარეს გარდახვეწილნი სწავლისათვის და პურის მოსაპოვებლად მისი შვილნი და გარეშე მოაგარაკენი.

ეს უკანასკნელნი, რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო მრავლად ეტანებიან თელავს. წინად მათი რიცხვი იმდენად მცირე იყო, რომ ორის კვირის განმავლობაში სამ-სამი დილიჟანი სრულიად კმაროდა მათ ტფილისში გამგზავრებისათვის. ეხლა-კი აგვისტოს ნახევრიდან დაწყებული ყოველ დღე 4—6 ომნიბუსი დადის ტფილისსა და თელავს შუა და კიდევ ვერ აკმაყოფილებს მსურველთ.

განვლილმა ზაფხულმა, წინა წლებთან შედარებით, ძალიან მხიარულად და ცოცხლად ჩაიარა, წარმოდგენა, კონცერტი და საცეკვაო ბევრი გაიმართა. ორჯელ აუცილებლად იმართებოდა კლუბის დარბაზში საცეკვაო საღამო, ხოლო კვირაობით ან შაბათობით—წარმოდგენა. ამავე დროს სომეხთა თეატრში სახალხო წარმოდგენები იყო. ამას გარდა ამ ზაფხულს წარმოდგენები გაიმართა შემდეგ სოფლებში: გავაზსა, ყვარელსა (ორჯელ), შილდასა, კალაურსა, იყალთოსა, საბუესა და კურდღელაურში. ამ უკანასკნელში გაიმართა წარმოდგენა განსაკუთრებით გლეხთათვის.

დიმიტრაშვილი.

წერილი აბაშიდან

სწავლა-განათლება და სასწავლებლები.—წიგნთ-საცავ-სამკითხველო.—სამარხი კასსა

სანთლით რომ ეძებოთ, ვერა ჰნახავთ ისეთს მეგრელს, რომელსაც არა ჰსურდეს სკოლაში შვილის გამოზრდა. სწავლა-განათლების მნიშვნელობა ყველამ გაიგო. სამწუხაროდ, იმდენი სკოლა არ არის, რომ მსურველნი ყველანი დაიტიოს. აბაშაში არსებობს ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი. რამდენისამე წლის წინად ეს სასწავლებელი სავსებით აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ეხლა-კი ორი და სამიც ვერ დააკმაყოფილებს. ქალებისათვის ორი სასწავლებელი არსებობს, მაგრამ, მერწმუნეთ, მესამე და მეოთხეც ვერ აუვა მსურველთ. განა არა სჩანს აქედან, რომ სწავლა-განათლების მნიშვნელობა ხალხმა შეიგნო. როგორცა ვსთქვით, სამწუხაროა, რომ ყველა მსურველს არ შეუძლიან სკოლაში შესვლა. გარედ დარჩენილ ბავშვს სადმე სამიკიტნოსა ან სხვა ასეთ დაწესებულებაში აძლევენ. მოგეხსენებათ, რა გავლენაც ექნება ბავშვზედ სამიკიტნოს.

აზრადა აქვთ ნორმალურ სკოლის საქალაქო სასწავლებლად გადაკეთება. დიდი სიკეთე იქმნება, თუ ეს საქმე განხორციელდა.

ერთის წლის წინად აქ დაარსებულ იქმნა წიგნთსაცავ-სამკითხველო. მართალია, სამკითხველო ღარიბი იყო, მაგრამ ხალხი მაინც იკმაყოფილებდა კითხვის წყურვილს. სამწუხაროდ, არ გასულა ერთი წელიწადი და სამკითხველო დაიხურა. უმთავრესი მიზეზი გამგეების უთაურობა იყო. სასურველია, ის მაინც გაგვაგებინონ, რა უყვეს წიგნებს?

ამ გვარადვე დააარსეს სამარხი კასსა. საქმე, ასე თუ ისე, ეწყობოდა, მაგრამ არ გასულა ექვსი თვე, რომ კასსის არსებობას ბოლო მოუღო. ფული უკანვე დაურიგეს წევრებს, ზოგს ნახევარი, ზოგს უფრო ცოტა, და ჩაიფუშა საქმე. აქაც, რასაკვირველია, საქმის უცოდინარობამ და უთაურობამ იჩინა თავი.

ა. ღ.

წერილი სამტრედიიდან.

წვიმები და ქუჩები.—სასოფლო სამკურნალოს დაარსების საქმე.—განზრახული საკვირაო სკოლა

ეს ერთი კვირაა, რაც აქ გაუწყვეტლად სწვიმს. თუ კიდევ რამდენიმე დღე იწვიმა, მოსავალს, რომელსაც კარგი პირი უჩნდა, გაგვინახევრებს. არც თვით დაბას დაეყრება ხეირი: აქაური ქუჩები ახლაც დაქცეულ დანგრეულია და მაშინ ხომ, ვინ იცის, რა იქნება! როცა დარი იყო და დროც მოხერხებული, ყურადღება არავინ მიაქცია, ახლა კი მიზეზი გამოუჩნდათ: „წვიმებია და გზის კეთება ტალახში არ შეიძლებაო“. ასეა ჩვენში; ჯამაგირის წაღება ყოველთვის შეიძლება, იმას არც წვიმა უშლის და არც აქაური დაქცეული გზები, რომელთა წყალობითაც მცხოვრებნი ბაზარში პურის სასყიდლად ვერ გამოდიან. ფული დიდი ხანია, რაც მოჰკრიბეს და ნეტა რა აბრკოლებს გზების შეკეთებას?

გაზეთებში უკვე მოხსენებული იყო, რომ აქ სასოფლო საავადმყოფო არსდებაო. ამა წლის 2 ივლისს კრება მოხდა ბ-ნ ლ. მახარაძის თაოსნობით. უმთავრესი საგანი კრებისა სამტრედიაში საავადმყოფოს დაარსება იყო. კრება სიხარულით მიეგება საავადმყოფოს დაარსების საქმეს და განაჩენზედაც ყველამ ხელი მოაწერა. ამოარჩიეს ათი კაცი და იმათ მიანდეს საქმის მოგვარება. ეს იყო და ეს. მას აქეთ ხმას აღარავინ იღებს საავადმყოფოს დაარსების შესახებ და საქმე როგორდაც მიყუჩდა. აქაც ჩვეულებრივმა გულ-გრილობამ იჩინა თავი. პირველად „მაღალ-მაღალის“ სიტყვებით აღტაცებაში მოიყვანეს საზოგადოება და ეხლა თვითაც მიჩუმდნენ.

სამტრედიამ მალე ერთის წლის იუბილეი უნდა გადაიხადოს იმისა, რაც აქ საკვირაო სკოლის დაარსების აზრი წამოაყენა რამდენმამე კაცმა. განხორციელდება ძნელი არ არის, ამბობდნენ მაშინ, რადგანაც გარემოება ხელს გვიწყობს, მხოლოდ მთავრობის ნებართვაა საჭიროო. თანაგრძნობა მევრმა განაცხადა, დახმარება და შრომაც საკვირაო სკოლას არა ერთმა და ორმა აღუთქვა მაგრამ... ხომ იცით ეს „მაგრამ“ რასაცა ჰნიშნავს: ლაპარაკმა ლაპარაკად ჩაიარა და საქმე დღესაც ვერ მოეწყო. ჩვენ მაინც იმედს არა ვკარგავთ: ადრე თუ გვიან სამტრედიელებიც ვეღირსებით საკვირაო სკოლას.

მუშა.

დაბა-სოფლები

ჩიხა (იმერეთი). რვა სექტემბერს სოფ. ჩიხას დღეობა იციან. ამ დღეს მცხოვრებნი იწვევენ ნათესავებს, იმართება ლხინი, რომელსაც უზომო ლოთობა მოსდევს. რასაკვირველია, ხალხს დიდი ხარჯი მოსდის, ამიტომ ზოგიერთებმა ადრევე განიზრახეს დღეობის გადაგდება, მაგრამ, არ იქნა, სისრულეში ვერ მოიყვანეს. ხალხი ამბობს, თუ დღეობა გადავარდა, ერთმანეთში მისვლა-მოსვლა და ნათესაობა დაგვეკარგებაო. აი, სწორედ ამ დღესასწაულის წყალობით მოხდა ჩვენში ისეთი ქურდობა, როგორიც სხუმის არ მოხდებოდა.

ღვთის-მშობლობის ღამეს გაჰქურდეს ხუთი მოსახლე. როდესაც სტუმარ-მასპინძელნი, კარგა შექეიფებულნი, ღრმა ძილს მიეცნენ, სწორედ ამდროს საქმეს შეუდგნენ ღამის რაინდები. ავიდნენ ზაქარია იაკობაშვილის სახლის აივანზე, გადააბიჯეს მძინარ ხალხს და შევიდნენ საქრომჭედლო პატარა ოთახში, რომელიც ორი თვეა ბაზრიდან სოფლად გადმოიტანა იაკობაშვილმა. წაუღიათ: გასაკეთებლად მიბარებული 6 ხანჯალი, ვერცხლითა და ვერცხლის ზარნიშით მოჭედილი, 2 კირვანქა დაუმუშავებელი ვერცხლი, ხელსაწყოიარაღი და სხვა წვრილი ნივთეულობა, ღირებული პატრონის შეფასებით 280 მ. ქურდები, რასაკვირველია, ამას არ დასჯერდნენ და ოთხი სხვა მოსახლის სახლსაც დააჩნიეს თავიანთი კეთილი კვალი: გიორგი იაკობაშვილის სახლიდან წაიღეს სტუმრის ჩოხა-ახალუხი და ქალის კაბა, ღირებული 20 მ., იოსებ იაკობიშვილისას მთლად აცალეს მძინარ სტუმარ-მასპინძლებს სკამებზე დაწყობილი და კედელზე ჩამოკიდებული ტანისამოსი. წაიღეს სამი ჩოხა, სამი ახალუხი, სამი ჩერქეზული ქამარი, ორი ხანჯალი, დიდი რუსული პალტო, ქუდები,—ფეხსაცმელები და სხვა სულ 150 მ. გარსევან იაკობაშვილის სახლიდან წაიყვანეს ცხენი, მაგრამ მეორე დღეს ჭალაში ნახეს გაშვებული. აშკარაა, ცხენი აღნიშნულ ნივთების წასაღებათ წაუყვანიათ. ივანე იაკობაშვილს მხოლოდ ღვინით გამასპინძლებას დასჯერდნენ. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა მოჰხადეს ჩაფ-ნახევრიანი ღვინით სავსე ქვევრი, იქვე დაყრილ კვახის ხვავიდან ამოარჩიეს ერთი მოგძო წვრილი კვახი, ამოჩიჩქნეს იგი ხანჯლის წვერით, ამოიღეს ამით ღვინო და ლაზათიანად გადაჰკვრეს მოპარულ ნივთების პატრონთა სადღეგრძელოდ.

ჯერ არ გათენებულიყო, როდესაც სტუმარმასპინძლებმა თავიანთი უბედურება გაიგეს. შეიქმნა ერთი ხმაურობა და ვაივაგლახი, საუკეთესო ტანისამოსში გამოწყობილი სტუმრები საცვლების ამარა დარჩნენ. გაქურდულმა ოჯახებმა პოლიციას შეატყობინეს ეს ამბავი. ეჭვი მიიტანეს ამავე სოფლის მცხოვრებ გლეხებზე, რომელთაც დღისით დაუზვერავთ ყველაფერი. პოლიციამ ამ ქურდობის გამო ორი კაცი დააპატიმრა.

ჩიხელი.

ჩურუქსუ (ქობულეთი). 15 წლის წინად დაბა ჩურუქსუში მხოლოდ რამოდენიმე ძველი ხის შენობა იყო. ახლა კი მშვენიერი სააგარაკო სახლებია გამოჭიმული. ძველად აქ ცხოვრობდა ორი-სამი ქართველი ქრისტიანი, დანარჩენი ქართველი მაჰმადიანნი იყვნენ. მას შემდეგ, რაც ჩურუქსუ აგარაკად გადაკეთდა, რუსობამაც იმატა. დღეს ზღვის განაპირად 4 ვერსის მანძილზედ ძვირფასი სახლები და ბაღებია გაჭიმული. ზღვის განაპირას თავისუფალი სახაზინო მიწები იყო, რომელიც 150 ნაჭრად დაჰყვეს და სამხედროებს დაურიგეს იმ პირობით კი, რომ სამის წლის განმავლობაში ააშენონ სახლები და გამართონ ბაღები. ვინც ამას არ იზამს, მამული ჩამოერთმევა და სხვას გადაეცემა.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ბათუმიდან ნავთის აუზები ქობულეთში გადააქვთ. 25 აგვისტოს ის ადგილები, სადაც აუზები უნდა გაიმართოს, დათვალიერა კომისიამ. მიწების პატრონნიც იყვნენ დაბარებულნი, უნდა გაეგოთ, ვინ რა ფასში გაჰყიდის მიწას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ მორიგდნენ. ამ მიწის პატრონნი ყველანი ქართველი მაჰმადიანნი არიან.

წელს ჩვენს დაბაში გასართობებიც იყო: „ბულვარში“ უკრავდა მუსიკა და იმართებოდა რუსული წარმოდგენები. ორჯელ ქართული წარმოდგენაც გამართეს და ქართულმა ხორომ, ქუდაჯებში გამოწყობილმა, მ. საყვარელიძის ლოტბარობით ქართული სიმღერები შეასრულა. იმათმა სიმღერებმა მაჰმადიანები ძლიერ ასიამოვნა.

წრეულს სიმინდს და ადესას ყურძენს კარგი პირი უჩანდა. ხალხი გაიძახოდა, შეიძლება შარშანდელი ზარალი წრეულს გავასწოროთო. მაგრამ ნათქვამია, ცეცხლზედ ძმარი დაურთოვო, ისე მოუვიდათ. ქვენა ქარმა სიმინდი გააგო მიწაზედ, ხოლო ყურძენი ჩამოყარა ძირს. ძველი სიმინდიც აღარავისა აქვს.

ირაკლი ურუ—მე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 სექტემბერი

პეტერბურგი. ზაბაიკალის მხარეს 1 სექტემბრიდან ხოლერა სრულებით მოისპო. ამურის მხარეს, ქალაქ ბლაგოვეშჩენსკში 14-სა და 15 სექტემბერს ორი გამხდარა ავად. პრიმორსკის ოლქში სამს ქალაქშია კიდევ ხოლერა. კვანტუნის ოლქში ქალაქ დალნიში თითქმის აღარ არის ხოლერა, პორტ-არტურში 8-დან 14 სექტემბრამდე 14 გახდა ავად, წინა კვირაში-კი 17 იყო. მანჯურიაში მხოლოდ გირინშია და ინკოუში ხოლერა. ხოლერის შემოსვლის შიში ეხლა მხოლოდ კორეიდან დარჩა, სადაც ქალაქ სეულში, შუა აგვისტოს გაჩნდა ხოლერა და ეხლა გაძლიერებულია იქ ეს სენი; კაიჯოუში და ახლო სოფლებში სექტემბრის დამლევს

ჩინელებ შორის აქა-იქ გაჩენილა. იმ ჩინელებს, რომელნიც რკინის გზით მოდიან კაიჯოუდან, ბარგს გაუჩხრეკენ ექიმები. სადგომებიც დამზადებულია, რომ ავადმყოფები მოაშორონ, ამას გარდა მოსპეს ისეთ საქონლის მიღება, რომელსაც შეიძლება სენი გაჰყვეს.

ადესაში 11-დან 18 სექტემბრამდე ავად-გამხდარა 6, გარდაცვლილა 3. სულ 28 მაისიდან გამხდარა 38, გარდაიცვალა 13. იმის გარდა, რომ იმ ადგილებს, სადაც ჭირს აღმოაჩენენ, კარგად ასუფთავებენ და, ამას გარდა, ვირ-თაგვებსაც ბლომად ჰხოცავენ, საზოგადოთ ქალაქის გასუფთავებასაც მიჰყვეს ხელი. ამ ჟამად კარ-და-კარ დადიან და აუცილებლად ყველა სახლს ათვალიერებენ და ამ დროს იმათაც ჰსინჯავენ, რომელნიც ღარიბულად ცხოვრობენ.

სევასტოპოლი. მათი უდიდებულესობანი, რომელთაც საკუთარი ამალა ახლდა, 12 საათსა და 40 წლის ბახჩისარაიას მიბრძანდნენ. მატარებლის მოახლოებისას მრავალის ხალხის განუწყვეტელ „ურა“-ს ძახილი გაისმა. მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ: გუბერნატორი კამერჰერი ტრეპოვი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სკადოვსკი, მაზრის წინამძღოლი, საგუბერნიო და სამაზრო ერობათა წარმომადგენელნი, მე-13 ქვეითა დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ცერპიცკი, 1-ლ ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი სოლოგუბი, ჟანდართა სამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი ტრუბნიკოვი, ქალაქის წარმომადგენელნი და ქალაქის მოურავი დავიდოვიჩი, რომელმაც პურ-მარილი მიართვა. გუბერნატორი და თავად-აზნაურთა წინამძღოლნი ბედნიერნი გახდნენ მშვენიერის თაიგულების მირთმევისა. მათი უდიდებულესობანი აღტაცებულის ხალხის მისალმების ძახილით ხანის სასახლისაკენ წაბრძანდნენ, სადაც თათრებისა, ბერძნებისა, კარაიმებისა და ებრაელთა საზოგადოებების დეპუტაციები დახვდნენ. სასახლეში ადგილობრივ შინა მრეწველობის ნაწარმოებები იყო გამოფენილი. აქედან მათი უდიდებულესობანი კარაიმების ძველ ქალაქს ჩუფუტ-კალეს წაბრძანდნენ, სადაც ხახამი პამპულოვი მიეგება და თორაში მიბრძანდნენ; შემდეგ მათ უდიდებულესობათ მიირთვეს საუზმე, რომელიც კარაიმთა საზოგადოებამ გაუმართა, და 4 საათზე უსპენსკის სკიტს წაბრძანდნენ, სადაც ზემო ეკლესიაში პარაკლისი მოისმინეს. ქალაქი მორთულია, ხალხი სადღესასწაულოდ გამზადებულია. 6 საათზე მათი უდიდებულესობანი სევასტოპოლს დაბრუნდნენ და ნავით გემ „შტანდარდ“-ზე მიბრძანდნენ. ხალხმა „ურა“-ს ძახილით მიაცილა.

როსტოვი-დონზე. მეურნეობისა, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა კრებამ გამოიკვლია, რომ როსტოვი ხორცით ვაჭრობის უმთავრესი ცენტრიაო. განიზრახეს დიდრონი სასაკლაოები გაჰმართონ. გაყინული ხორცი აქედან შიდა ბაზრებსა და სამზღვარ გარედ უნდათ გაიტანონ.

პურის ვაჭრობაზედაც ილაპარაკეს. თავმჯდომარედ იყო თავ. შჩერბატოვი. ვაჭრობათა განყოფილების გამგე მახნევიჩიც იყო, რომელმაც სარმოხთქვა, რომ აქაურ პურის ვაჭრობის საჭიროების შესახებ მინდა მე თვითონ მოვისმინო თქვენი სიტყვა და შევიტყო, რა ღონე ვიღონოთ ამ საქმის გაუმჯობესებისათვისო. კრებამ რამდენიმე საშუალება დაუსახელა.

კონსტანტინეპოლი. გემი „გიორგი პობედონოსეც“-ი, რომელსაც თან მოსდევდა „კუბანეც“-ი, ბუ იუქ-დიმანში შემოვიდა; იქ სულთანისაგან დანიშნულნი ელოდებოდნენ გემ „ფუად“-ზე; აქ იყვნენ- თეფფიქ-ფაშა, შაქირ-ფაშა, ტურხან-ჰკალიბი და გენერალი აჰმედ-ალი. გემ „კოლხიდა“-ზე რუსეთის ელჩი ზინოვიევი და საელჩოს წევრნი იყვნენ. დიდს მთავარს სალამი მისცეს. ბოსფორში შესვლის დროს ზარბაზნები გაისროლეს. ნავთსადგურში მისვლის შემდეგ დიდი მთავარი დოლმა-ბახჩეში ჩამოხდა. სამხედრო სალამიც მისცეს. ოთხის ცხენით შებმულ ეტლით დიდი მთავარი ილდიზ-კიოსკში წავიდა, თან ახლდა ამალა, საელჩოს წევრნი და შუბებით შეიარაღებული ცხენოსანნი მიუძღოდა. სულთანმა დიდის პატივისცემით მიიღო, მთელი სასახლის წარჩინებულნი აქ იყვნენ ამ დროს; თავიანთი ამალა ერთმანერთს გააცნეს და მერე დიდი მთავარი მერსიმ-კეოსკში წავიდა, რომელიც ილდიზ-კიოსკთანაა. სულთანმა დაუყოვნებლივ გადაუხადა ვიზიტი. სამი-ოთხი დღე დარჩება აქ დიდი მთავარი და მერასიმ-კიოსკში იცხოვრებს. დიდს მთავართან დანიშნულნი არიან აჰმეტ-ალი და რამდენიმე ადიუტანტი.

უტრეხტი. პრეზიდენტად ყოფილი კრიუგერი 1-ლ (14) ოქტომბერს მენტონს გაემგზავრება.

ნიჟნი ნოვგოროდი. სამს ორმოცდა ხუთი კაცი იყო სამართალში მიცემული იმისათვის, რომ საზოგადო ბეღლიდან ძალით წაიღეს და დაირიგეს ის პური, რომელიც გლეხებმა ბეღელს დაუბრუნეს. სასამართლომ ორასზე მეტი დააჯარიმა, ხოლო მცირე წლოვანნი და ქალები გაამართლა.

სევასტოპოლი. მოვიდა დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე და გემით იალტას წავიდა.

ზღვათა სამინისტროს მმართველი ჩამოვიდა, რომ ხვალ მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით გემის „ოჩაკოვ.“-ის ზღვაში ჩაშვებას დაესწროს.

კონსტანტინეპოლი. ოსმალთა გაზეთი „სერვეტ“-ი ამბობს, რომ დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის კონსტანტინეპოლში ჩამოსვლას ის საგანი აქვს, რომ ორ მეზობელ იმპერიას შორის მშვენიერი მეგობრული განწყობილება შემდეგშიაც განაგრძოსო.

21 სექტემბერი

სევასტოპოლი. გემი „თამარა“, რომელზედაც მათი უდიდებულესობანი ბრძანდებოდნენ, სამხრეთ ნავთსადგურში შევიდა. სეირნობა 25 წუთს გაგრძელდა. 5 საათზე და 34 წუთზე მათი უდიდებულესობანი „შტანდარტ“-ზე დაბრუნდნენ. ნაპირზე მეოთვი ხალხი აღტაცებულის „ურა“-ს ძახილით მიეგება მათ უდიდებულესობათ.

სევასტოპოლი. დილის 9 საათსა 30 წუთზე მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს ზღვოსანთა საავადმყოფო, მიესალმნენ ავადმყოფთ და დაწვრილებით გამოჰკითხეს ამბავი. 10 საათსა და 30 წუთზე მათ უდიდებულესობანი წაბრძანდნენ „შტანდარტ“-ზე. 2 საათზე და 35 წუთზე მათი უდიდებულესობანი და დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ავიდნენ და დაათვალიერეს გემი „როსტისლავ“-ი, რომლის უფროსი დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძეა. აქ დარჩნენ ერთს საათს და შემდეგ შავი ზღვის ფლოტის უფროსის აგარაკ „ჰოლანდიაში“ წაბძანდნენ; იქიდან საღამოს 5 საათზე დაბრუნდნენ გემ „თამარა“-ზე.

ლონდონი. სიამის ელჩისა და ინგლისის მთავრობის შუა მოლაპარაკება კელინტანისა და ტრენგანის შესახებ დასრულდა და შეთანხმება ამ დღეებში იქმნება ხელ-მოწერილი. ინგლისს ჰსურს დაიცვას სიამის დამოუკიდებლობა და არ უნდა, რომ კელინტანი და ტრენგანი ჩამოერთვას, მით უმეტეს, რომ ჰფიქრობს თუ ამ ქვეყნებს შესაფერისი მართვა-გამგეობა ექმნა, ინგლისის ვაჭრობა უზრუნველ-ყოფილი იქმნება.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულ“-ში დაბეჭდილია, რომ სახალხო განათლების სამზრუნველო საზოგადოებანი შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებიდან სახალხო განათლების სამინისტროს უწყებას გადაეცა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსაყენი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ:); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკეობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამი- 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 წ. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 ს). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ – დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

სხვა-და-სხვა ყვავილის
საუკეთესო
ო-დე-კოლონი
№ 4711
რეინის თაიგულები
უმჯობესი ხანგრძლივი და იაფი დუხები ცხვირსახოცებისათვის
ყოველგვარ ყვავილის სუნნელებისა.
(მც. 3)

ზ ი ს
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გვრის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 ½ კაპ.).
ტელეფონი № 754 (წ.).

დაიბეჭდა და იყიდება
მოლა მასრადინას
მოსწრებული სიტყვები
ფასი 25 კაპეიკი
მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ გამომცემელს ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Канц. Главнонач. А. Миракову.

ახალი სახურავი,
რომელზედაც პატენტია აღებული
[illegible]
ჯაჲ. ხარკ. 1901 წლის გამოფენა
ფაბრიკა და საცინკო ქარხანა
ი. შელენგოვსკის
და
ამხანაგობისა
ბათუმში.
პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.
პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.
ამხანაგობის წარმომადგენელნი:
ტფილისში გ. მულიარსკი
(ერევნის მოედანზე № 25)
ქუთაისში ვ. ჭილაძე
(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)
დიდხანს გამძლეი და იაფი სახურავი
[illegible] სჭირია შეღებვა, [illegible] ადვილად დასაჭედელი.
5)

Вышла Сентябрьская (девятая) книга
ЕЖЕМѢСЯЧНАГО ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАГО ИЗДАНІЯ
РУССКАЯ МЫСЛЬ

СОДЕРЖАНІЕ: 1) Въ военномъ госпиталѣ.—П. В. Оболенскаго. Окончаніе. 2) Сто дней. Разсказъ.—Юліи Безродной. 3) Силуэты.—П. Хотымскаго. 4) Голубой кувшинчикъ. Разсказъ.—Б. М. Крокеръ. Пер. съ англ.—Н. М. К. 5) Стихотворенія.—Ив. Бунина. 6) Спрутъ. Калифорнскій романъ. Франка Норриса. Пер. съангл.—А. Г. Продолженіе. 7) Классная дама.—Ольги Лысогорской. 8) Соединенные штаты Европы. (По вопросу о международной организаціи Европы).—Гр. Л. А. Камаровскаго. 9) Глѣбъ Ивановичъ Успенскій. Его бесѣды и письма.—Е. С. Некрасовой. 10) Живое слово и клише.—А. Г. 11) Вызовъ въ Россію колонистовъ изъ Данцига. Г. Г. Писаревскаго. 12) Очеркъ развитіи нѣмецкой художественной литературы въ XIX вѣкѣ—Мих. Г. Окончаніе. 13) Къ исторіи „лишнихъ людей“. (А. О. Новодворскій.—„Передъ грозой“. Погорѣлова).—Ѳ. К. Арчольда. 14) Замѣтка объ участковыхъ (сельскихъ) докторахъ въ дальней Сибири.—С. Ѳ. У. 15) Сонитарныя условія въ связи съ экономическими въ Московской губерніи.—П. И. Куркина. 16) Историческій обзоръ дѣятельности комитета министровъ.—А.—ева. 17) Письмо въ редакцію.—В. Шенрока. 18) Внутреннее обозрѣніе. 19) Иностранное обозрѣніе.—В. А. Г. 20) Библіографическій отдѣлъ. 21) Объявленія.

Продолжается подписка на 1902 г.

Подп. цѣна съ доставкою и	12 м.	9 м.	6 м.	3 м.	1 м.
пересылкою во всѣ мѣста Россіи:	12 р.	9 р.	6 р.	3 р.	1 р.
За границу	14 р.	10 р. 50 к.	7 р.	3 р. 50 к.	1 р. 25 к.

Допускается разсрочка: при подпискѣ, 1 апрѣля, 1 іюля, 1 октября по 3 рубля—при непосредственномъ обращеніи въ контору или ея отдѣленія.

Цѣна отдѣльнаго номера съ пересылкой 1 руб. 30 коп. Книгопродавцамъ дѣлается уступка въ размѣрѣ 50 коп. съ полнаго годоваго экземпляра. Подписка въ разсрочку отъ книгопродавцевъ не принимается.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

ВЪ МОСКВѢ: въ конторѣ журнала—Ваганьковскій пер., д. Аплаксиной. ВЪ ПЕТЕРБУРГѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова; ВЪ КІЕВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. Я. Оглоблина, ВЪ ВАРШАВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ВИЛЬНѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ПЕРМИ: въ земскомъ центральномъ книжномъ складѣ.

При к—рѣ редакціи журнала «Русская Мысль“ находится складъ изданій.

(ʒ. 1—1) Редакторъ-Издатель В. М. Лавровъ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 21 Сентября, 1902 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).